# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 5 მაისი, 2011 წელი.

№83 (6694)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## შენი სახელი რა გვარია, ერთკაციანი საბჭოს თავმჯდომარევ? ③



როგორ შეიძლება გახდეს ჩვეულებრივი საქანელა სავარძელი დემოკრატიის მოკავშირე

## სააკაშვილი აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში შესაჭრელად ემზადებაო ②



## ხელისუფლებამ საზოგადოებას არ უნდა უბიძგოს რადიკალური მოქმედებებისკენ ④

## 21 მაისი - ნინო ბურჯანაძის ვატერლოო თუ?.. ⑤





4 მაისი ფიროსმანის გარდაცვალების დღეა ⑨

## აქილევსის ქუსლი- სავაჭრო ორგანიზაციის სახით ⑥

## „ბორჯომის“ გამო მოსკოვი ⑥ ორ ბაზარს ხურავს



## ოროთახიანი „ხიპებიდან“ – საკუჩნაოსხელა „ტვიზებზე“ ⑦

## „კოჭოიადან“ ზინ ლადენამდე

 ②

### აქციები

## „პატარა სააკაშვილების“ „ბუდეები“

**დედაქალაქისა და საქართველოს თითქმის ყველა რაიონის გამგეობასთან გუშინ შუადღისას საპროტესტო აქციები გაიმართა. ერთ-ერთი მათგანი ძველი თბილისის გამგეობის შენობის წინ მოეწყო. ახალგაზრდების შეფასებით, გამგეობები „ნაციონალური მოძრაობის“ რაიონულ ოფისებს წარმოადგენენ, სადაც „პატარა სააკაშვილები მოკალათებულან“, ამიტომაც საპროტესტო აქციების ორგანიზატორები გამგებლებს თანამდებობის დატოვებისკენ მოუწოდებდნენ. მოძრაობა „არას“ წარმომადგენელმა თიკო ნიბლოშვილმა აღნიშნა, ესაა გამოსაფხიზლებელი აქცია, რომელიც 21 მაისამდე პერიოდულად გაიმართებაო.**

— სახალხო კრება საზოგადოებას დაჰპირდა, რომ ყველა იმ ადამიანთან მივიდოდნენ, რომელიც დანაშაულშია შემჩნეული. ჩვენი სურვილია, სანამ დროა, გამგებლები გონს მოეგონ და საპროტესტო აქციებზე ხალხის გვერდით დადგნენ, — დასძინა მან, რომ 21 მაისამდე საპროტესტო აქციები სხვა ჩინოვნიკთა სახლებისა და სამუშაო ადგილების წინ მოეწყობა.

## „ქვეყნის სამსახური ყველგან მსხვერპლია...“

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მე-6 სასწავლო კორპუსის წინ, ეზოში, „სამოქალაქო ფრონტის“ აქცია გაიმართა. აქციის ორგანიზატორი ჯაბა ჯიშკარიანი იყო. აქციის დევიზი იყო „უთხარი არა — ძალადობას, სიცრუეს“. ორგანიზატორთა განცხადებით, ყველა სტუდენტმა, ყველა ახალგაზრდამ, საქართველოს ყველა მოქალაქემ უნდა იცოდეს, რომ მისი და ქვეყნის მომავალი თითოეული ჩვენგანის ხელშია.**

— ქვეყნის სამსახური ყველგან მსხვერპლია და არა სეირი, — ილია ჭავჭავაძის ამ სიტყვებით მიმართავდნენ ისინი ახალგაზრდობას. ღონისძიების ორგანიზატორთა განცხადებით, მსგავსი აქციები თბილისის სხვა უმაღლეს სასწავლებლებთანაც გაიმართება.

**ჯი-ეიჩ-ენი**

### ვარაუდი

## სააკაშვილი აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში შესაჭრელად ემზადებაო



**საქართველოს პრეზიდენტის ახლანდელი განცხადებები იმის შესახებ, რომ ქვეყნის არმიის გადაიარაღება ხდება, მეტყველებს იმაზე, რომ შესაძლოა 2008 წლის აგვისტოს მოვლენების განმეორება მოხდეს. აცხადებს რუსი ექსპერტი კონსტანტინე სივკოვი და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამჟამად უკვე ეჭვი არავის ეპარება, რომ ქართული არმია გამალებით იარაღდება.**

„საქართველოს შეიარაღებული ძალები უზრუნველყოფილნი არიან საკმაოდ თანამედროვე იარაღით და ეს უპირველეს ყოვლისა აშშ-ისა და ისრაელის დამსახურებაა. თბილისში მიდის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები, მათ შორის ე.წ. პეტრიოტები. დასავლეთი ასევე ეხმარება საქართველოს სისტემის მართვისა და დაზვერვის სფეროში, აწვდის მას სხვადასხვა ტანკსაწინააღმდეგო კომპლექსებსა და ვერტმფრენებს. სხვათა შორის, მათ ასევე აქვთ უნარი სავარაუდო მოწინააღმდეგის ტექნიკა დიდ მანძილზე მნიშვნელოვნად დააზარალონ“, — აცხადებს სივკოვი.

მისივე თქმით, საქართველოს მხრიდან ე.წ. სამხრეთ ოსეთზე ხელახალი აგრესიის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ორ შემთხვევაში.

„პირველ შემთხვევაში ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ თბილისი დარწმუნებული იქნება, რომ მას დასავლეთი სრულად უჭერს მხარს. მეორე შემთხვევაში თბილისი დარწმუნებული უნდა იყოს რუსეთის არასტაბილურობაში. ომის საბაბად შესაძლოა გამოყენებული იყოს ნებისმიერი ინციდენტი, რომელიც საზღვარზე მოხდება ან სხვა პროვოკაცია. რა თქმა უნდა რუსეთის ჩართვის შემდეგ საბრძოლო მოქმედებებში საქართველო სამხრეთ ოსეთზე ვერ გაიმარჯვებს, სწორედ ამიტომაცაა საჭირო არასტაბილურობა რუსეთში, რომელიც შესაძლოა საპრეზიდენტო არჩევნების დროს მოხდეს. მით უფრო, რომ დასავლეთს რუსეთის პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის ვლადიმერ პუტინის კანდიდატურის მიმართ ძალიან ხისტი პოზიცია აქვს. მისი გამარჯვება დასავლეთისათვის კატასტროფა იქნება“, — აცხადებს რუსი ექსპერტი.

მისივე თქმით, სწორედ ამიტომაც ზოგი ამერიკელი და ევროპელი პოლიტიკოსისათვის მომგებიანი იქნება რუსეთში ქაოსური სიტუაცია, რომელიც შესაძლოა ეკონომიკური მეთოდებითაც იქნეს ორგანიზებული. ამის ფონზე საქართველომ შესაძლოა ისარგებლოს სიტუაციით და ეცადოს თავისი კონტროლის ქვეშ აფხაზეთის დაბრუნებას და იმის გათვალისწინებით, თუ რა განცხადებებს აკეთებს სააკაშვილი, ეს მოვლენები მთებს იქით როდია“, — აცხადებს კონსტანტინე სივკოვი.

### უპასუხო კითხვები

## „კოჭოიადან“ ბინ ლადენამდე

**გაგეცინათ, ხომ ამ სათაურზე?**

**იმაზე რატომ არ გაგეცინათ, როცა გაიგეთ, რომ თურმე საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გამოეხმაურა აშშ-ის მიერ ჩატარებულ ოპერაციას, რომლის დროსაც მსოფლიოში ნომერ პირველ ტერორისტად აღიარებული უსამა ბინ ლადენი გაანადგურეს.**

მან გვამცნო, რომ „ამ ისტორიულ დღეს ჩვენ პატივს მივაგებთ 11 სექტემბერს და სხვა ტერორისტული თავდასხმების შედეგად დაღუპული ათასობით უდანაშაულო ადამიანის ხსოვნას. აშშ-ის მიერ ჩატარებული წარმატებული ოპერაცია, რომლის შედეგად ალ-ქაიდას ლიდერის უსამა ბინ ლადენის ლიკვიდაცია მოხდა, წარმოადგენს მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს მსოფლიოში ტერორიზმთან ბრძოლის მიმართულებით. მიუხედავად ამ დიდი გამარჯვებისა, ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ გრძელდება. დარწმუნებული ვართ, რომ არ არსებობს სხვა ალტერნატივა, გარდა სამართალის ზეიმისა„.

მოდით რამდენიმე ცუდ შეკითხვას დავსვამ.

თქვენ როგორ გგონიათ: —

ის „ბინლადენელები“ (თუ მართლა არსებობენ და ესეც მორიგი ამერიკული მითი არ არისძ, შურს არ იძიებენ?

მაგათ რა „წამოუვლით თავში“? და იმის გამო, რომ ავღანეთში ნატოს კონტინგენტზე მეტი, ქართველი ჯარისკაცები არიან, ჩვენ მათთვის „ერთ-ერთი სამიზნე“ არ გავხდებით?

ვიღაც იდიოტი შახიდი, აქ რომ ჩამოვიდეს და რომელიმე ავტობუსში ბილეთი არ აიღოს, ის „ყვითელი“ კონტროლიორი გადაგვარჩენს?

მერია დაზღვევას გადაიხდის?

არადა, თურმე საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, ეს დღე ამერიკელი ხალხის და აშშ-ის ხელმძღვანელობის უდიდესი გამარჯვება ყოფილა.

„ამ ოპერაციის წარმატებამ კიდევ ერთხელ ცხადყო აშშ-ის, როგორც სახელმწიფოს ძლიერება და მდგრადობა გლობალურ საკითხებში და, განსაკუთრებით, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში“, — ნათქვამია საქართველოს მთავარსარდლის მიერ გავრცელებულ სპეციალურ განცხადებაში.

ვაი მე!

პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ საქართველო, როგორც ქვეყანა, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებაში, მტკიცე მხარდაჭერას უცხადებს აშშ-ს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

იმერეთში არის ასეთი ფრაზა: — რას ეკვეხები, როცა არ გეკითხებიან!

გავაგრძელო?

არადა რა კაი „კოჭოია“ გვყავდა.

„შახიდი“ და „კამიკაძე“ მაგასაც და მის გამომძიებელსაც თანამონაწილეების გვარები ეგონათ.

არადა ყველაფერში როგორ უნდა ვაჯობოთ სხვებს.

დაიჭირეს „კოჭოია“ — იყავი მშვიდად და უყურე „ნიჭიერს“.

მოკლეს უსამა — გეშინოდეს მეტროში ჩასვლის.

არადა, რამდენი „უცხოელი ტურისტია“ საქართველოში.

**გია გაბრიჭიძე**





### უმკურნალებენ ისრაელში

## ვასილ სანოძის მდგომარეობა

**შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსი ვასილ სანოძე მკურნალობას ისრაელის ერთ-ერთ კლინიკაში გააგრძელებს.**

შსს-ის მაღალჩინოსანი თავის არეში მიყენებული ჭრილობით ღუდუშაურის კლინიკაში 3 მაისს გამთენიისას მოათავსეს. ოფიციალური ინფორმაციით, ვასილ სანოძეს ტაბელური იარაღი გაუვარდა, თუმცა პირად საუბრებში მის მიერ თვითმკვლელობის მცდელობასაც არ გამორიცხავენ.

სანოძე ხელისუფლების მაღალჩინოსანთა შორის ერთ-ერთია, რომელთა სახელიც სანდრო გირგვლიანის მკვლელობის გახმაურებულ საქმეში ფიგურირებს.




**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

საქმეში ხარ?!

***აქსიომას რომ მტკიცება არ სჭირდება, ყველამ იცის. ისიც კარგად არის ცნობილი, რომ, თუმცა ჩვენში ქართულ ენასა და მეცნიერება-განათლებას მასობრივად უტევენ, საქართველო მსოფლიოში მაინც პირველ ადგილზეა წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობით.***

***და სწორედ ყოველივე ამის გათვალისწინებით უნდა მოვუბოდიშო ჩვენს წიგნიერ მკითხველებს იმ ორი სიტყვის ლამის გამოწვლილვით განმარტებისთვის, რომელთა არსი მათ ისედაც კარგად იციან, თან ეს ლექსიკონის მოშველიებით უნდა ვქნა, რათა დღევანდელმა „ენგლიშთუმეებმა“ ჩემი ნათქვამი საეჭვოდ არ მიიჩნიონ.***

# შენი სახელი რა გვარია, ერთკაციანი საბჭოს თავმჯდომარევ?

## როგორ შეიძლება გახდეს ჩვეულებრივი საქანელა სავარძელი დემოკრატიის მოკავშირე



მაშ ასე, ვნახოთ, როგორ არის განმარტებული უცხო სიტყვათა ლექსიკონში სიტყვა **აბრადაკაბრა — უაზრო სიტყვები, აბდაუბდა.**

დავასწრებ და თან დავეთანხმები ზოგიერთ ენაკვიმატს, უთუოდ რომ იტყვის — სწორედ შენი საგაზეთო მასალის სათაურია ამის საუკეთესო ნიმუშიო: **კი, ბატონო, ასეა და საგანგებოდაც დავასათაურე ამგვარად ეს წერილი, რადგან მასში ზუსტად ერთ უაზრო დოკუმენტზე გვექნება საუბარი.**

მეორე სიტყვაა **საბჭო,** რომლის მნიშვნელობა-დანიშნულებაც ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონში ასეა ახსნილი: **„...სათათბირო ორგანო რომელსამე დაწესებულებასა ან ორგანიზაციაში... რაც ბჭობას, თათბირს მოითხოვს, — სათათბირო, საკამათო“...**

თუმცა ერთიც კია: დოკუმენტი, უაზროდ რომ მოვიხსენიე, სინამდვილეში მისი შემდგენლის თუ შემდგენლებისთვის საკმაოზე მეტად აზრიან-გააზრებულადაც კი გახლავთ „ჩამოსხმული“, კანონის თუ საღი აზრის საწინააღმდეგო დებულებებს რომ არ შეიცავდეს!

**თუმცა საქმეში ხარ?! რა კანონი, რის კანონი! კანონიც თვითონ არ არის მავანი და რეფორმატორიც?**

ჰოდა, საიდანაც უნდა, იქიდან მოაბამს ქოთანს ყურს, ვინ დაუშლის?

არავინ, ჩემო ბატონო, და ამიტომაც მიჭირავს ახლა ხელში ერთი ასეთი „ქოთანი“ — **საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის წესდება,** რომლის მეხუთე მუხლში იქაური სამეთვალყურეო საბჭოს უფლება-მოვალეობანი ასეა განმარტებული:

> **5. 1. უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ნიშნავენ დამფუძნებლები.**
>
> **„5.2. უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭო ასრულებს დამფუძნებლების მიერ განსაზღვრულ ყველა უფლება-მოვალეობას.**
>
> **5.3. უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭო შეიძლება შედგებოდეს ერთი ადამიანისაგან, რომელიც ამავდროულად არის საბჭოს თავმჯდომარე. ასეთ შემთხვევაში უნივერსიტეტის საბჭოს თავმჯდომარე გადაწყვეტილებებს იღებს დამოუკიდებლად და ერთპიროვნულად.**
>
> **5.4. თუ სამეთვალყურეო საბჭო შედგება ერთზე მეტი წევრისგან, ის უფლებაუნარიანია, თუ საბჭოს სხდომაში მონაწილეობას იღებს წევრთა ნახევარზე მეტი. ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით.**
>
> **5.5. თუ დამფუძნებლები არ შექმნიან სამეთვალყურეო საბჭოს, მაშინ ისინი თავად იღებენ გადაწყვეტილებებს, რომლებიც საბჭოს კომპეტენციაში შედიან“.**

რა შეიძლება ითქვას ამ მართლაც აბრადაკაბრის შესახებ?

ერთი შეხედვით, უწინარესად, ალბათ, ის, რომ იგი კანონსაწინააღმდეგოა, რადგან „მეწარმეობის შესახებ“ საქართველოს კანონში არც ოდესმე ეწერა და არც ახლა არ წერია, რომ სამეთვალყურეო საბჭო შეიძლება შედგებოდეს ერთი წევრისგან.

ერთი შეხედვით-მეთქი, იმად ვამბობ, რომ ზემოაღნიშნული წესდებით საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი არასაწარმოო (არაკომერციული) იურიდიული პირია და, ამდენად, სამართლიანადაც შეიძლება შემომედავონ, „მეწარმეობის შესახებ“ კანონის მოთხოვნები მასზე არ ვრცელდებაო.

კი, ბატონო, მაგრამ ბევრ სხვა რამეს თავი რომც დავანებოთ, არის არანაკლებ მნიშვნელოვანი ერთი მომენტიც: როგორც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონზე დაყრდნობითაც შევთანხმდით, **საბჭო** გახლავთ **„სათათბირო ორგანო რომელსამე დაწესებულებასა ან ორგანიზაციაში“... „სათათბირო, საკამათო“** ორგანო.

ჰოდა, როგორ გესახებათ ეს პროცესი **(თათბირი, კამათი...)** იმ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე, რომელიც, ამ წესდებით, **„შეიძლება შედგებოდეს ერთი ადამიანისაგან“?**

**არა, თავის თავთან მოსაუბრე თუ ჟესტიკულაციების გამოყენებითაც მოკამათე ბევრი ადამიანიც გვინახავს ქუჩებში, მაგრამ სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულების კაბინეტებსა და აუდიტორიებში?!**

ასეთები, მოგეხსენებათ, აფრაკებად მოიხსენიებიან ქართულში, ანუ ჭკუამსუბუქ, მოსულელო ადამიანებად.

**ამნაირები კი ასათიანზე რომ დაწესებულება გვქონდა, იქ უნდა იყვნენ და არა, თუნდაც აგრარულ უნივერსიტეტში! თანაც იქაურ უმაღლეს ხელმძღვანელ თანამდებობაზე!**

ახლა „კბილი მოვუსინჯოთ“ წესდების აღნიშნული მუხლის კიდევ ერთ პუნქტს, რომელშიც, კვლავ ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ...

**„თუ სამეთვალყურეო საბჭო შედგება ერთზე მეტი წევრისგან, ის უფლებაუნარიანია, თუ საბჭოს სხდომაში მონაწილეობას იღებს წევრთა ნახევარზე მეტი. ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით“.**

კი, ბატონო, აქ ყველაფერი გასაგებია (გარდა ერთგვარი ჩიქორთული ქართულისა), მაგრამ (კვლავ „პირველ ჩვენებას ვაწვები“ძ თუ ის მომენტი „გვიდგას“, როცა **„საბჭო შეიძლება შედგებოდეს ერთი ადამიანისაგან?“**

— ასეთი შემთხვევისთვის 5.3 პუნქტში ხომ გვიწერია, რომ უნივერსიტეტის საბჭოს თავმჯდომარე გადაწყვეტილებებს იღებს დამოუკიდებლად და ერთპიროვნულადო? — მეტყვიან ალბათ.

**გიწერიათ, მაგრამ ეს ხომ წმინდა წყლის ავტორიტარიზმი და ჭეშმარიტად დემოკრატიის შუქურა ჩვენი ქვეყნისთვის მიუღებელი რამეა, ბატონო რეფორმატორებო?**

ამასთან დაკავშირებით, ერთმა ნაცნობმა, ამ წესდების წაკითხვით კარგად რომ იხალისა, ასეთი რამ მითხრა: **მოდით, იმ ერთკაციანი საბჭოს თავმჯდომარეს რაიმე საკითხზე ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღების ავტორიტარული მეთოდის გამოყენებისგან თავის დასაღწევად ასეთი რაღაც ვურჩიოთ — კაბინეტში საქანელა სავარძელი დაიდგას, ჩაჯდეს და დააკვირდეს — თუ თიმთიმა სტომაქმა სავარძელი წინ გადასძალა, ეს თანხმობის ნიშანი იყოს, ხოლო თუ „ერთმა ადგილმა“ იმძლავრა და უკან გადააქანა — უარყოფის. ვიცი, ეს საუკეთესო გამოსავალი არ არის, მაგრამ შიშველ ადმინისტრირება-ავტორიტარიზმს ან, თუნდაც, „არიოლ-რეშკას“ ხომ მაინც აჯობებსო.**

ეჰ, რას იზამ, მართლაც, როცა გშია ზაქარია, ცივი მჭადიც შაქარია (ისე ზოგიერთების „შვილივით მოსწრებულმა“ ნაპატივებმა სტომაქმა და ამთაგორებულმა „ერთმა ადგილმა“ გამახსენა ეს ანდაზა, თორემ უფრო მისადაგებული მეორე იქნებოდა — როგორც გიჭირდეს, ისე გილირდესოძ!

ეჰ, ხუმრობა იქით იყოს და, ერთი კითხვა კი ამეკვიატა „ნამეტნავად“: **აგრარული უნივერსიტეტის სახით განა რა ისეთ ველურებით დასახლებულ ჯუნგლებში მოვა ამ წესდებით სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ არჩევისთვის „განწირული“ კაცი, რომ იქ ორიოდე ადამიანი მაინც არ დახვდეს, ვისაც აზრი შეიძლება გაუზიაროს, ჭეშმარიტების დასადგენად ეკამათოს კიდეც და, საჭიროებისას, რჩევაც ჰკითხოს?**

ერთი საკითხიც: წესდება, მოგეხსენებათ, ის ძირითადი სამოქმედო-სახელმძღვანელო დოკუმენტია, რომლის შესატყვისადაც იქმნება, იმართება და საქმიანობს ნებისმიერი ორგანიზაცია თუ დაწესებულება. ცხადია, მისი მოთხოვნების შესაბამისად ყალიბდება და კომპლექტდება სხვადასხვა მართვის ორგანოც.

მაგრამ პირდაპირ წესდებაში რომ ეწეროს რომელიმე ხელმძღვანელი მუშაკის, ამ შემთხვევაში, უნივერსიტეტის რექტორის ვინაობა და რეკვიზიტები, მე, უბირსა და ჩამორჩენილს (ამ წესდების შემქმნელი გენიოსების ფონზე, ცხადიაძ, ჯერ არსად მინახავს. ის კი არა, აქამდე ისეც მეგონა, რომ ხელმძღვანელი, ვთქვათ, რექტორი, სათანადო უფლებამოსილების მქონე პირის ბრძანებით ინიშნებოდა.

ამ წესდების მეშვიდე მუხლში კი, რომლითაც უნივერსიტეტის რექტორის უფლება-მოვალეობაა განსაზღვრული, უფრო კონკრეტულად კი 7.4 პუნქტში წერია: **„უნივერსიტეტის რექტორია ლაშა გოცირიძე (პ/ნ 01024009776, დაბადებული ქალაქ სოხუმში, 1975 წლის 30 ოქტომბერს, მცხოვრები თბილისში, გოთუას ქ. №10/12)“.**

პირადად მე ამ, დარწმუნებული ვარ, კარგი ახალგაზრდის საწინააღმდეგო, ცხადია, არაფერი მაქვს, მაგრამ **ისღა მაინტერესებს, საიდან მოხვდა, უფრო სწორად, ვინ და რატომ მოახვედრა იგი „ამ გაუგებრობაში“,** ანუ რა უნდა მის გვარსახელს წესდებაში? ეს ხომ ლამის იგივეა, რომ **კონსტიტუციაში ან თუნდაც საარჩევნო კანონში, რომლითაც არჩევნები უნდა ჩატარდეს, წინასწარ ჩაიწეროს, ვთქვათ, ასარჩევი პრემიერ-მინისტრის გვარ-სახელი და სხვა მონაცემები?**

* * *

...როდესაც ეს „დოკუმენტი“ მაჩვენეს, არ დავიჯერე, — ეს, ალბათ, წესდების ტექსტის ერთგვარი მონახაზი, შავი ვარიანტია-მეთქი.

— არაო, დამიჟინეს, — ნამდვილიაო, თუ არ გჯერათ, დაუკავშირდით ვისაც გნებავთ და გადაამოწმეთო.

მეც დავრეკე აგრარული უნივერსიტეტის საქმეში გარკვეულ ერთ პასუხისმგებელ მუშაკთან (გვარს, გასაგები მიზეზების გამო, არ ვასახელებძ.

— მესმის თქვენი გაკვირვება, მაგრამ ნამდვილად ეგრეაო, — მიპასუხა. ერთი კია, ცოტა ნაჩქარევად არის შედგენილი ეს წესდება და, ალბათ, ამისი ბრალიც გახლავთ ეს ლაფსუსებიო, — დასძინა.

— ნაჩქარევი უძახეთ თქვენ და, მაგ წესდებით ჩვენ კი გამოგვყარეს სამსახურიდანო! — ნაღვლიანად ჩაილაპარაკეს უმუშევრად დარჩენილმა ყოფილმა სასოფლოელებმა, რომლებმაც ეს „დოკუმენტი“ რედაქციაში მოიტანეს.

**...ვინც რაც უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო, ალბათ, სწორედ ჩვენს ამ „რეფორმატორებზეც“ არის ნათქვამი: ერთს ამბობენ (დემოკრატიულობას ჩემულობენ)და მეორეს (ავტორიტარულს) კი აკეთებენ. თანაც ლამის ყველგან და ყველაფერში!**

**ვის აინტერესებს ხალხის აზრი!!**

**დასაწყისში ვთქვი, უაზროდ მოხსენიებული ეს დოკუმენტი სინამდვილეში იმისი შემდგენლისთვის საკმაოზე მეტად აზრიან-გააზრებულადაც გახლავთ „ჩამოსხმული“-მეთქი.**

**ერთი კია საკითხავი: თუ მოერგება იგი იმის შემქმნელს „საჩოხე“ ტანზე და ბოლომდეც თუ შეერგება!**

**საკითხავიც და გა — საბჭო — ბიც აი, მართლაც, ეს არის!..**

**რუსლან რუსია**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

## კითხული კაცის აზრი

# ხელისუფლებამ საზოგადოებას არ უნდა უბიძგოს რადიკალური მოქმედებებისკენ

**– ბატონო ზურაბ, ბინ ლადენის ლიკვიდაციის შესახებ აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მსოფლიოს პირადად ამცნო. შესაძლოა, ეს ინფორმაცია არაბულ ქვეყნებში რევოლუციების ფონზე წლის უმნიშვნელოვანესი მოვლენაც აღმოჩნდეს. აღსანიშნავია, რომ ამ ინფორმაციის გავრცელებისთანავე აზიის ქვეყნებში დოლარის კურსმა მნიშვნელოვნად იმატა. თქვენი აზრით, რა გავლენას იქონიებს ბინ ლადენის ლიკვიდაცია მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე პროცესებზე და კიდევ, ბინ ლადენის დაღუპვის შემდეგ, რა უფრო სავარაუდოა, ტერორისტების გააქტიურება თუ ტერორისტული ქსელის დასუსტება?**

– რა თქმა უნდა, ეს აშშ-ს ანტიტერორისტული კამპანიის ძალიან დიდი წარმატებაა. ბინ ლადენი საერთაშორისო ტერორიზმის სიმბოლო იყო და მისი ფიზიკური განადგურება ძალიან დიდი დარტყმაა ალ-ქაიდას ტერორისტული ორგანიზაციისთვის. რამდენად იმოქმედებს ეს რეალურად ტერორისტული ორგანიზაციის საქმიანობაზე, ძნელი სათქმელია. ალ-ქაიდა არ არის ისეთი ორგანიზაცია, რომელსაც ვერტიკალური სტრუქტურა აქვს, როცა ერთ ხელმძღვანელს ექვემდებარებიან ხელქვეითები. ალ-ქაიდა, ჰორიზონტალური ქსელის სახით, ავტონომიურად მოქმედი დაჯგუფებების ერთობლიობაა. ამიტომ მათი აქტიურობა შეწყდება თუ იმატებს, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს.

ბინ ლადენის ლიკვიდაციით ტერორისტული საფრთხე არ მოხსნილა. ალბათ, უნდა ველოდოთ ალ-ქაიდას მხრიდან საპასუხო აქციებს. მე მაინც ვფიქრობ, რომ ლიდერის დაღუპვის მიუხედავად, მსოფლიოს საქმე ექნება სერიოზულ ტერორისტულ ორგანიზაციასთან, რომელსაც შესაძლოა, ახალი ლიდერი მოევლინოს. მაგრამ, ვიმეორებ, საერთაშორისო ტერორიზმის ლიდერის განადგურებით აშშ-მ და კონკრეტულად ობამას ადმინისტრაციამ ძალიან სერიოზული პოლიტიკური დივიდენდი მოიპოვა.

**– იმის გამო, რომ ნატო ლიბიაში წარმატებას ვერ აღწევს, დასავლური პრესა ნატოს შესაძლებლობებს კრიტიკულად აფასებს. პარალელურად, კადაფის ვაჟისა და შვილიშვილების დაღუპვას მსოფლიოში არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა. თქვენ როგორ შეაფასებდით ლიბიაში მიმდინარე პროცესებს?**

– ლიბიაში მიმდინარე პროცესებზე საკმაოდ ბევრი ანალიტიკური მასალა იწერება, არის განსხვავებული აზრები. მართალი გითხრად, ჩემზე დამთრგუნველად იმოქმედა გუშინდელმა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ დაბომბვის შედეგად დაიღუპა კადაფის ვაჟიშვილი და შვილიშვილები. ვშიშობ, ასეთი ოპერაციების შედეგად კადაფი არაბული სამყაროსათვის მსხვერპლის შარავანდედით არ შეიმოსოს. მისი და მისი გარემოცვის ფიზიკური განადგურების შესახებ არანაირი საერთაშორისო სანქცია არ არსებობს. არც საერთაშორისო სასამართლოს არ გამოუტანია ასეთი განაჩენი. ამიტომ, ის რაც მოხდა, წმინდა მორალური თვალსაზრისით, ნატოს ოპერაციისათვის ძალიან სერიოზული მომენტი უნდა იყოს. ბოლოს და ბოლოს, კადაფის შვილებსა და შვილიშვილებს ავტომატურად დანაშაული არ მიუძღვით იმაში, რომ მათი მამა თუ ბაბუა პირწავარდნილი ტირანია. მე მაინც მგონია, რომ ნატომ ლიბიაში უფრო მკაფიოდ და ნათლად ჩამოაყალიბოს თავისი მიზნები და ამოცანები.

**– „სახალხო კრება“ 21 მაისიდან ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საპროტესტო აქციებს იწყებს. აქციის მონაწილეთა რეგიონებიდან დედაქალაქში გადაადგილებას შეფიცულთა ჯგუფები უზრუნველყოფენ. ვითარებაში, როცა ხალხი ბარიკადებზე ასასვლელად პრაქტიკულად მზად არ არის, თქვენი აზრით, რამდენად რელიზებადია ის გეგმები, რომლის შესახებაც განცხადებები „სახალხო კრების“ ლიდერებმა გააკეთეს?**

– მოგეხსენებათ, აქციები, დემონსტრაციები, ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში ჩვეულებრივი მოვლენაა. ნებისმიერ ოპოზიციონერს რეალურად უნდა ჰქონდეს თავისი აზრის გამოხატვის საშუალება. თუ აქციები და დემონსტრაციები საქართველოში დემოკრატიულ პროცესს ხელს შეუწყობს, მე ამას მივესალმები. მაგრამ, თუ ამგვარი ქმედება ქვეყანას ძალადობისკენ უბიძგებს, ამის კატეგორიული მოწინააღმდეგე ვარ.

ძალადობა მხოლოდ საპასუხო ძალადობას, ხოლო სიძულვილი მხოლოდ საპასუხო სიძულვილს ბადებს. 90-იან წლებში ჩვენ ეს უკვე ვნახეთ და ვიცით, თუ რა კატასტროფის მომტანია ძალადობა ამა



***სავარაუდოდ, როგორ განვითარდება პოლიტიკური პროცესები საერთაშორისო ასპარეზზე ბინ ლადენის ლიკვიდაციის შემდეგ, რამდენად რეალიზებადია ხელისუფლების შეცვლის მიზნით „სახალხო კრების“ მიერ გაცხადებული სამოქმედო გეგმები და რამდენად სავარაუდოა ქვეყანაში პოლიტიკური პროცესების სტაგნაცია, „ინტერპრესნიუსი“ პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორს ზურაბ აბაშიძეს ესაუბრა.***

თუ იმ მხრიდან. ასე რომ, ქვეყანაში ცვლილებები იმისთვის არის საჭირო, რომ შედეგად არსებულზე უკეთესი უნდა მივიღოთ და არა უარესი. თუ ძალადობის გზით წავალთ, 100%-ით ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენ იმაზე გაცილებით უარეს ვითარებას მივიღებთ, ვიდრე დღეს გვაქვს. ეს კი ცალკეულ მოქალაქეს, ცალკეულ ოჯახს შეეხება. პროცესების ასეთი სცენარით განვითარების შემთხვევაში, როგორც წესი, პოლიტიკოსები არ ზარალდებიან ხოლმე და უბედურება ჩვეულებრივი მოქალაქეების კისერზე გადადის. ამიტომ, ვიმეორებ – ცვლილებების მომხრე ვარ, მაგრამ ისეთი ცვლილებებისა, რომლებიც ქვეყანაში დემოკრატიას, სტაბილურობას და სახელმწიფოებრიობას განამტკიცებენ.

**– ცხადია, რომ პროცესების რევოლუციური გზითა და ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების წარმოების მომხრე ოპოზიციური ძალები ხელისუფლებასთან ბრძოლაში რაიმე ხელშესახებ მიზანს მოქმედების კოორდინაციის გარეშე ვერ მიაღწევენ. პოლიტიკური ძალები ერთიანი და რეალური გეგმის შემუშავებას იმის გამო ხომ ვერ ახერხებენ, რომ ოპოზიციურ ფლანგზე ბრძოლა პირველობისათვის არ დასრულებულა?**

– ოპოზიციური 8-იანის საქმიანობაში მე ერთიან და საკმაოდ კოორდინირებულ ქმედებას ვხედავ. რვიანმა მთლიანად უნდა ამოწუროს თავისი შესაძლებლობები მოლაპარაკებების პროცესში. იმის თქმა, რომ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებს აზრი არა აქვს, მაინც არაფერი არ შეიცვლება, რომ ყველაფერი ეს ფუჭი მცდელობაა, არასწორი მიდგომაა. თუ 8-იანი შედეგს მართლაც ვერ მიაღწევს, შემდგომ უნდა ვიფიქროთ, თუ როგორ უნდა გაგრძელდეს ბრძოლა იმისათვის, რომ საზოგადოებამ სამართლიანი არჩევნების ჩატარების უფლება დაიბრუნოს.

პოლიტიკაში პირველობისათვის ბრძოლა მარტო საქართველოში არ ხდება, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. მაგრამ, ამ ეტაპზე, ჩემი აზრით, რაც უფრო კოლექტიური ხელმძღვანელობის სახე ექნება ოპოზიციის მოქმედებას, მით უკეთესი იქნება იმ მიზნის მისაღწევად, რასაც სამართლიანი არჩევნების ჩატარება ჰქვია. შემდგომ, პოლიტიკოსთა პირველობას პოლიტიკური პროცესი ბუნებრივად წარმოაჩენს და თუკი სამართლიანი არჩევნები ჩატარდა, არჩევნები წარმოაჩენს რეალურ პოლიტიკურ ლიდერებს. ამასთანავე, არ ვარ დარწმუნებული, რომ სამართლიანი არჩევნები აწყობთ იმ ოპოზიციურ ძალებს, რომელთა მხარდაჭერაც საზოგადოების მხრიდან რეალურად მინიმალურია.

**– გამოითქმის მოსაზრება, რომ საარჩევნო გარემოსა და კანონმდებლობასთან დაკავშირებით ოპოზიციური 8-იანის მოთხოვნათა დაკმაყოფილება ხელისუფლების შესაცვლელად შედეგის მომტანი არ იქნება და საერთოდაც, საქართველო ახლა პოლიტიკური პროცესის სტაგნაციის საფრთხის წინაშე დგას. იმის გათვალისწინებით, რომ ხელისუფლება-ოპოზიციის მოლაპარაკებებზე რეალურად ჯერ არანაირი წინსვლა არ შეინიშნება, თქვენ თუ ეთანხმებით ასეთ შეფასებებს?**

– ჩემი აზრით, თუ ხელისუფლება ოპოზიციურ რვიანთან დიალოგის მსვლელობისას გარკვეულ კონსტრუქციულ ნაბიჯებს არ გადადგამს და საერთო ჯამში რაღაც შედეგს ვერ მივიღებთ, ეს ხელისუფლების ძალიან სერიოზული შეცდომა იქნება. რაც არ უნდა გავრცელებული იყოს მოსაზრება, რომ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებას აზრი არა აქვს, საზოგადოების დიდი ნაწილი შინაგანად მაინც ელის, რომ გარკვეული შედეგის მიღწევა შესაძლებელია.

ხელისუფლებამ საზოგადოების დიდ ნაწილს გული არ უნდა აუცრუოს და რადიკალური აზროვნებისა და ქმედებებისაკენ მას არ უნდა უბიძგოს. ხელისუფლებამ ხალხს არ უნდა განუმტკიცოს იმის რწმენა, რომ მასთან საუბარს აზრი არა აქვს. ახლა ხელისუფლებაში იმაზე კი არ უნდა იფიქრონ, თუ როგორ წარმოაჩინონ თავი მაგარ და უკომპრომისო ბიჭებად, არამედ იმაზე, რომ ქვეყანაში დაბალანსებული პოლიტიკური სისტემა შეიქმნას.

სერიოზული, სოლიდური, კონსტრუქციული ოპოზიციის გარეშე ასეთი სისტემა ვერ შეიქმნება. მარტო ხელისუფლების „ცალ ფეხზე მდგომი“ პოლიტიკური სისტემა არ არის მდგრადი, სტაბილური და ის შეიძლება ნებისმიერ დროს შეირყეს. ეს კი, საფრთხის მატარებელი მდგომარეობაა. ხელისუფლებას ამაზე სერიოზულ დაფიქრებას ვთხოვ.

**კობა ბენდელიანი**

## ექსპერტი

# „საწარმოო დანაკარგების პრობლემის მოგვარებას ხელისუფლება საბიუჯეტო შემოსავლების მოსალოდნელი შემცირების გამო აჭიანურებდა“



**ეკონომიკის ექსპერტ დავით ნარმანიას აზრით, საწარმოო დანაკარგების პრობლემის მოგვარებას ხელისუფლება სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლების შემცირების თავიდან ასაცილებლად აჭიანურებდა.**

**„საწარმოო დანაკარგების პრობლემა ბიზნესს წლების განმავლობაში ჰქონდა და ის ფაქტი, რომ მთავრობამ ამ პრობლემაზე საუბარი დაიწყო, მისასალმებელია. ეს ბიზნესს ფინანსური სახსრების დაზოგვაში დაეხმარება“,** – განუცხადა „პირველს“ ნარმანიამ და იქვე დასძინა, რომ საწარმოო დანაკარგების პრობლემის მოგვარებას მთავრობა ბიუჯეტში შემოსავლების შემცირების თავიდან ასაცილებლად აჭიანურებდა.

**„ხელისუფლება ამ პერიოდის განმავლობაში პრობლემას არ აგვარებდა, რადგან სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლების შემცირების ეშინოდა, თუმცა, როგორც ჩანს, აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღო და პრინციპში, მთავრობას გრძელვადიან პერსპექტივაში ბიზნესის წახალისება და დახმარება უფრო აძლევს ხელს“,** – აღნიშნა ნარმანიამ.

ამასთან, ექსპერტი მიიჩნევს, რომ ამ საკითხში საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებაა აუცილებელი.

**„საწარმოო დანაკარგების გათვალისწინებისას საჭიროა შესაბამისი ნორმების მკაცრად განსაზღვრა, რათა სუბიექტურ დამოკიდებულებას ადგილი არ ჰქონდეს. ამდენად, საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება აუცილებელია“,** – განმარტა ექსპერტმა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური საწარმოო დანაკარგების განსაზღვრის მიმართულებით მუშაობას აგრძელებს. როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე შემოსავლების სამსახურის უფროსმა ჯაბა ებანოიძემ განაცხადა, შემოსავლების სამსახურის ახალი ინიციატივა ალკოჰოლური სასმელის წარმოებისას/იმპორტისას აქციზური მარკების დაზიანების საწარმოო დანაკარგისა და სიგარა/სიგარეტისთვის გამოყენებული აქციზური მარკების დაზიანების საწარმოო დანაკარგის ოდენობის განსაზღვრას გულისხმობს.

**ცნობისთვის, შემოსავლების სამსახურის ინიციატივის მიხედვით, საწარმოო დანაკარგები გასულ კვირას მეტალურგიის სფეროსთვის დადგინდა.**

**პირველი**

## ინფორმაცია

### დიპლომატების დაკავება

**ლარნაკაში აკრედიტირებულმა ქართველმა დიპლომატებმა გუშინ საერთაშორისო ორგანიზაციას ოფიციალურად მიმართეს.**

**გიორგი კოტორაშვილი, თამაზ კანდელაკი და ირინა ბაციაშვილი კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილში დააკავეს. ეს რეგიონი არაღიარებულია, როგორც პოლიტიკური სუბიექტი, რის გამოც ქართველ დიპლომატებს თურქულ ნაწილში სამართალდამცავ უწყებებთან პირდაპირი ურთიერთობის დამყარება არ შეუძლიათ.**

**ამის გამო ქართველი დიპლომატები გაეროს მიმართავენ, რათა დაკავების პროცესში მათი შუამდგომლობა მოხდეს. საქართველოს მოქალაქეები ჩრდილოეთ და სამხრეთ კვიპროსის სამხედრო-სასაზღვრო ზოლის არარეგალურად გადაკვეთის ბრალდებით დააკავეს.**

### მეზობლებთან უფრო მეტად „სამეზობლოდ“

**საქართველო თურქეთთან, აზერბაიჯანთან და სომხეთთან საზღვრის გადაკვეთის პროცედურების გამარტივებაზე მუშაობს. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, უახლოეს პერიოდში სარფის საბაჟო-გამტარი პუნქტი ამოქმედდება, რაც საქართველო-თურქეთის საზღვრის გადაკვეთას მაქსიმალურად გაამარტივებს.**

**– საზღვრის გადაკვეთის პროცედურები ახლაც გამარტივებულია, მაგრამ ვფიქრობთ, რომ პროცედურების კიდევ უფრო გამარტივება შეიძლება. როდესაც განახლებული სარფის საბაჟო გაიხსნება, საქართველოსა და თურქეთს შორის საზღვრის გადაკვეთა კიდევ უფრო გამარტივდება, – აცხადებს ნიკა გილაური.**

**მისი თქმით, ანალოგიურად გამარტივდება პროცედურები ასევე საქართველო-აზერბაიჯანის და საქართველო-სომხეთის საზღვრებზეც, რისთვისაც პოლიტიკური ნება არსებობს და მუშაობაც უკვე დაწყებულია.**

**ჯო-ეიბ-ენი**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

**მე ასე ვფიქრობ**

# 21 მაისი – ნინო ბურჯანაძის ვატერლოო თუ?..



**გნებავთ სახალხო კრების, რადგან, რაც არ უნდა იძახოს ქალბატონმა ბურჯანაძემ, რომ ის სახალხო კრების აღმასრულებელი საბჭოს ერთ-ერთი რიგითი წევრია და მის სიტყვასაც ისეთივე წონა აქვს იქ, როგორიც, დავუშვათ, ელიზბარ ჯაველიძისას, მსგავსი ზღაპრების იმთავითვე არავის სჯეროდა. რადგანაც, დიახაც, პარლამენტის ყოფილი სპიკერი მოიაზრება სახალხო კრების მთავარ (თუ არა ერთადერთ) დამფინანსებლად.**

რაც, ბევრისგან განსხვავებით, სულაც არ მგონია უხერხული, რადგანაც უფულოდ, პოლიტიკა, მით უმეტეს რევოლუციები, ჯერაც არავის, არსად და არასდროს არ უკეთებია. და თუ ნინო იხდის, ამაში რა არის ცუდი? მართალი ნათქვამია – **„Кто платит, тот и музыку заказывает“**-ო, მაგრამ თუ ეს „მუზიკა“ სააკაშვილის გაშვება, ან გაგდებაა, შეუკვეთოს ბურჯანაძემ, რა პრობლემაა?

ააა, რა იქნება მერე? ანუ, რომ მოხდეს სასწაული და მიშიკო, მართლაც რომ „ჩამოვალაზორანტოთ?“, მერე რას მოითხოვს ნინო ანზოროვნა? აბა რა გითხრათ? როგორც იტყვიან, მერეზე, მერემ იფიქროსო – დღეს იმდენად საამურად ჟღერს მიშას გაშვების პერსპექტივის მუსიკა, რომ ძნელია სხვა მელოდიებზე ფიქრი.

უხერხული, სწორედ საპირისპიროს მტკიცებაა, რომ ნინო კი არა, სახალხო კრების მრავალი ათასი წევრის გადახდილი საწევროებით, ან, ინკოგნიტო ბიზნესმენების შემოწირულობებით უდგიათ სული, რასაც ამდენი ხანია ცდილობენ, ნინო ბურჯანაძე იქნება ეს, თუ კრების მართლაც რიგითი (ნინოსთან შედარებით თორემ...ძ მესვეურები.

ეს ისე, პატარა შესავალი, როგორც იტყვიან, ცნობისათვის და ახლა მთავარზე...

როგორც იქნა, გავიდა ბრწყინვალე შვიდეული (ღმერთო, შემინდე, თუ ეს მკრეხელობააძ და ის „ნანატრი“ 2 მაისიც დადგა, როდესაც კიდევ უფრო „ნანატრი“, სახალხო კრების ე.წ. სამოქმედო გეგმა გაცხადდა, რომლის მიხედვითაც, სააკაშვილის რეჟიმის დასასრულის დასაწყისად, 21 მაისი დაითქვა. თუმცა, სულო ცოდვილო, და მეც, ისევე როგორც ბევრს, მეგონა, რომ 2 მაისსვე უნდა დაწყებულიყო ის, რასაც ამდენი ხანია – „ჩუმის ნატვრითა ნატროულობს ქართველი“.

ასე იყო ეს და რა ვქნა, ვერ დავეთანხმები ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს იმაში, რომ 2 მაისის მიმართ გადაჭარბებული მოლოდინების გაჩენა, მხოლოდ რუსთავი-2 და სხვა „მიშავიზიების“ მზაკვრული მაუწყებლობის ბრალია. თუმცა არც ისე დავწვრილმანდები და სიტყვებზე არ გამოვეკიდები – ჯანდაბას, იყოს 21 მაისი, ოღონდ...

აი, ამაშია, ამ მრავალწერტილშია საქმე – 21-ში მაინც იქნება, როო? ქვემოთ ვნახოთ, რა პერსპექტივები შეიძლება გვქონდეს 21 მაისს.

დავიწყოთ იქიდან, რომ სხვა, რევოლუციური პარტიები თუ ცალკეული პიროვნებები, ყველა ერთად თუ ცალცალკე, ამთავითვე გაემიჯნენ 21 მაისს დაანონსებულ რევოლუციას – ზოგი „უჩემოდ ვინ იმღერითას“ გამო და ზოგიც საკუთარის დაანონსებას გვპირდება, ანუ, როგორც ჩანს, არანაირი დროებითი გაერთიანება მაინც, რაც ერთმნიშვნელოვნად არის საზოგადოების დაკვეთა, არ იქნება.

იმათზე, ე.წ. საპარლამენტო ოპოზიციაზე, გნებავთ „რვიანზე“ ხომ ლაპარაკიც არ ღირს. მაგათ, უტყუარი და სანდო ინფორმაციით, ოკეანეს გაღმელმა პატრონ-მარჩენალებმა, ამას წინათ აქ ჩამობრძანებული ემისრის პირით, პირდაპირ, ყოველგვარი დიპლომატიური ენის გარეშე უბრძანეს, რევოლუციური გზისკენ გახედვაც არ გაბედოთო! გააგრძელეთ ის „ონანიზმი“, რასაც საარჩევნო გარემოს შეცვლა ჰქვია, როგორმე გაქაჩეთ და მიშასაც გააქაჩინეთ 2012, ან ჰა, ჰა, 2013 წლამდე და მერე?

მერე რა, რომ „მერე“, საქართველო პრაქტიკულად აღარ იქნება, მთავარია, რომ მერე, ბოლოს და ბოლოს, ოდესღაც საქართველოდ წოდებულ ტერიტორიაზე იქნება, ახალ, გაუმჯობესებულ საარჩევნო გარემოში არჩეული, „დემოკრატიულ“- მარიონეტული ხელისუფლება. და ბურებით, თურქი მესხებით თუ ათასი ჯურის გადამთიელებით დასახლებული ტერიტორია, „ჰგიებს, უკუნეთი უკუნისამდე“.

ასე რომ, თუ ამერიკული სცენარით განვითარდა მოვლენები, პერსპექტივა, როგორც იტყვიან, ნულია!

მაშ, რა ვქნათ? რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, ისევ 21 მაისის იმედი უნდა ვიქონიოთ. იმიტომ, რომ ყველა, ყველა და ნინო ბურჯანაძეს უჭკუობას ვერ დააბრალებ, ანუ მან ისიც ჩემზე უკეთ იცის, რაზედაც ზემოთ ვისაუბრე და მიუხედავად ამისა, თუ მაინც 21-ში ეძახის ქუჩაში ხალხს, იმედი მაქვს, იმასაც აცნობიერებს, რომ კიდევ ერთხელ „სახლში წადით და 37 მაისს მოდით“, ამას აღარავინ აპატიებს. ვინც ამას გაბედავს, თუ ხალხის რისხვას (ჩაქოლვას, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობითძ გადაურჩება, როგორც პოლიტიკოსი დამთავრდება!

ამიტომ დავასათაურე წერილი ასე – 21 მაისი, კრახის შემთხვევაში ვატერლოო იქნება ნინო ბურჯანაძისათვის. იქნება ისეთი რამის იმედი აქვს, რაც ჩვენ არ ვიცით? ამიტომ ერთხელ კიდევ უნდა ვცადოთ და მივიდეთ 21-ში. როგორც კახეთში იტყვიან, „იქნებ ჩვენმა თხამ ტყუპი მაიგოსო“. თუ არა და იმას მაინც „მოვიგებთ“, რომ ნინო ბურჯანაძის სახელს აღარ გავიგონებთ ქართულ პოლიტიკაში.

**დავით მხეიძე**

**წერილი რედაქციას**

# ამაოდ ვირჯებით – ვის ესმის ჩვენი ხმა?

**ოდესღაც ლაღად ვცხოვრობდით აბასთუმნელები, არ გვაკლდა მთავრობის ყურადღება, 10 მოქმედ სანატორიუმს 400-ზე მეტი საშუალო და უმაღლესი სამედიცინო პერსონალი უძღვებოდა. ადგილობრივნი განებივრებული ვიყავით. უარს ვინ გვეტყოდა, ერთხელ გასინჯვის მაგიერ ათჯერ გვსინჯავდნენ, თავს გვევლებოდნენ, ცალკე კიდევ ფუნქციონირებდა პოლიკლინიკა, უმაღლეს დონეზე აღჭურვილი სამედიცინო ტექნიკითა და მედპერსონალით. იყო თითქმის ყველა კაბინეტი, თერაპიული, სტომატოლოგიური, ტუბერკაბინეტი, ბავშვთა, ასევე ლაბორატორიები, რენტგენი, მაღალკვალიფიციური მედპერსონალი.**

ეს ყველაფერი იყო და აღარ არის. ყველაფერი მოგონებად და ტკივილად დარჩა. კარგა ხანია, მყარად გამოიკეტა პოლიკლინიკის კარი და დავრჩით ასე ბედის ანაბრად. რას იზამ? იწუწუნე, იკრიახე, თავში ქვა ირტყი, ყველაფრისათვის ირბინე მეზობელ სოფელში, ადიგენსა თუ ახალციხეში... ვერა და ვერ შეეგუენ აბასთუმნელები ასეთ ვითარებას. ატყდა კრიახი, ცრემლები, ლანძღვა-გინება, მერე, გამოვიდა რამე? რა გამოვა? ჩვენი ბატონი პრეზიდენტი (წამდაუწუმ რომ ლანძღავს საბჭოთა



დროსძ, ასი ახალი საავადმყოფოს აშენებას დაგვპირდა, კარგა ხანია. მაგრამ, არაფერი გეტკინოთ, რაც გვაქვს, იმასაც გვიუქმებს. მას ისე ანაღვლებს ხალხის ბედი, როგორც მე მადარდებს სადამ ჰუსეინის ბედი. რა უნდა ვირწმუნოთ იმ პრეზიდენტის, რომელიც საკუთარ განცხრომაზე ზრუნავს და მილიონებს ყრის ვიღაც მომღერლების ჩამოყვანასა თუ „ჭიაყელა“ ხიდების შენებაზე. ჯერ ყველაფერს გააძვირებს, შემდეგ ნაადრევად იწყებს პენსიების გაზრდაზე ლაპარაკს. იცის, რომ მისი აღარავის სჯერა, მაგრამ ხომ უნდა იბაქიბუქოს.

ისევ პოლიკლინიკის საკითხს მივუბრუნდეთ. აბასთუმნელები დიდად შეაწუხა პოლიკლინიკის კარის გამოკეტვამ. დაიწერა კოლექტიური წერილები ზემდგომ ინსტანციებში. შედეგი – ნული!

მეც გავაგზავნე წერილი ჯანდაცვის მინისტრთან. მიიღო, წაიკითხა. მერე, რა ქნა მინისტრმა? ადგა და გამომიგზავნა საპასუხო „დამამშვიდებელი“ პასუხი. აი, ისიც: (სტილი დაცულიაძ

**„ქალბატონო ზინა,**

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ განიხილა თქვენი განცხადება, რომელიც ეხება ადიგენის მუნიციპალიტეტის აბასთუმნის თემში „პირველადი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის“ ამბულატორიული მომსახურება სოფლად ქვეკომპონენტის ფარგლებში ექიმის შტატის დამატების საკითხს.**

**გაცნობებთ, რომ ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი გეგმავს „სოფლის ექიმის“ პროგრამის გადახედვას, რომლის მიზანსაც წარმოადგენს სოფლის მოსახლეობის ბაზისური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის შეფასება. საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში განიხილება აღნიშნულ სოფელში ექიმის კონტრაქტირების საკითხი.**

**პატივისცემით რუსუდან რუხაძე,**

**ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსი.**

აი, პასუხიც ამას ჰქვია.

მე აქედან ბევრი ვერაფერი გავიგე: რა თემი, რა სოფლის ექიმი...

იქნებ თქვენმა (ჩვენმაძ გაზეთმა მაინც მიიტანოს ჩვენი სატკივარი იმ ადამიანებამდე, ვის ხელშიცაა ჩვენი ბედიც და ჩვენი სულიც.

**ზინა ლობჟანიძე,**

კურორტი აბასთუმანი

**ინფორმაცია**

## პანღურები – გენერლებს

**რუსეთის შს სამინისტროში რეფორმის ფარგლებში „წმენდა“ გრძელდება. კერძოდ, რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა რუსეთის შს სამინისტროს კიდევ ხუთი გენერალი თანამდებობიდან გაათავისუფლა. ინფორმაციას ამის შესახებ კრემლის პრესსამსახური ავრცელებს.**

**კერძოდ, თანამდებობიდან გათავისუფლებული არიან: ალტაის მხარის შს სამინისტროს საგამოძიებო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, მთავარი საგამოძიებო სამმართველოს უფროსი გენერალ-მაიორი ვიქტორ ბარანოვი, კალინინგრადის ოლქის შს სამინისტროს მთავარი სამმართველოს უფროსი გენერალ-მაიორი სერგეი კირიჩენკო, იუსტიციის გენერალ-მაიორი, შს სამინისტროს ჩრდილო-დასავლეთ ფედერალური ოლქის მთავარი სამმართველოს უფროსი სერგეი პანფილოვი, პერმის ოლქის ეკონომიკური უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე, გენერალ-მაიორი იური სავჩენკო და შს სამინისტროს სამხრეთ ფედერალური ოლქის მთავარი საგამოძიებო სამმართველოს საგამოძიებო ნაწილის უფროსი გენერალ-მაიორი ალექსანდრე საშინი.**

## ექიმს უჩივიან

**ჯანდაცვის სამინისტროში ქუთაისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმის ნანა გულბანის წინააღმდეგ საჩივარი შევიდა.**

**იზოლდა ბერაძის მტკიცებით, გულბანმა მის მეუღლეს არასწორი დიაგნოზი დაუსვა და პნევმონიის სამკურნალოდ მედიკამენტოზური მკურნალობაც დაუნიშნა, რის შემდეგაც ის გულის უკმარისობით გარდაიცვალა.**

**სამედიცინო დახმარების ხარისხის კონტროლის განყოფილების უფროსის ნინო ხუციშვილის თქმით, ბერაძის განცხადებაზე შესაბამისი კომისია უახლოეს სხდომაზე იმსჯელებს.**

## სიდუხჭირემ კაცის სიცოცხლე იმსხვერპლა

**არსებული ინფორმაციით, ინციდენტს წინ შელაპარაკება უძღვოდა, რომლის მიზეზიც მოკლულის კუთვნილი ხელფასი იყო.**

**დაღუპულის ოჯახის წევრთა განცხადებით, ჯგერენაია სტამბულში მშენებლობაზე მუშაობდა, თუმცა დამქირავებელს მისთვის ბოლო რამდენიმე თვეა შრომითი ანაზღაურება არ გადაუხდია.**

**გარდაცვლილის ოჯახი ცხედრის გადმოსვენებაში დახმარებას საქართველოს ხელისუფლებას სთხოვს.**

**ცნობილია, რომ მკვლელობა სამი დღის წინათ მოხდა, თუმცა მოკლულის ოჯახის წევრებმა მის შესახებ მხოლოდ წუხელ შეიტყვეს.**

ჯი-ეიჩ-ენი

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

№ 83. ხუთშაბათი, 5 მაისი, 2011 წელი.

გლობუსი

# აქილევსის ქუსლი — სავაჭრო ორგანიზაციის სახით

**ქართულ-რუსული საჯარო კინკლავი საქართველოს მოსახლეობისთვის იმდენად მომაბეზრებელი, ერთფეროვანი და უაზრო გახდა, რომ ბერნის შეხვედრის დაწყებამდე ატეხილი ქარიშხალი ჭიქაში საერთოდ არ გამხდარა ფიქრის საგანი. მხოლოდ ზოგიერთმა პოლიტოლოგმა მიაქცია ცალყბა ყურადღება ამ საკითხს. — ეს იყო და ეს. ქართული მხარის სალი კლდის მსგავსი „სიმტკიცე“ ჩვეული გულმოდგინებით დაადასტურეს საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ვაშაძემ და მისმა მოადგილემ კალანდაძემ — პირველმა მისთვის ჩვეული და დიპლომატიისთვის აშკარად მიუღებელი ლექსიკით, მეორემ გაუგებარი ფრაზეოლოგიით თვალთა წარმოუდგენლად სწრაფი ხამხამით. განცხადების არსი ისეთი იყო, როგორც მრავალი წლის განმავლობაში — საქართველო არამც და არამც არ შეუშვებს რუსეთს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, თუ ის არ გაითვალისწინებს ქართულ მოთხოვნებს.**

მოთხოვნები ისეთია, რომ არათუ რუსეთი, არამედ მის ადგილას ნებისმიერი ქვეყანა უარს იტყოდა მათ დაკმაყოფილებაზე. ქართული მხარე ითხოვს რუსეთ-საქართველოს იმ საზღვარზე ქართველი მებაჟეების ჩაყენებას, რომელიც ადმინისტრაციული საზღვრის სახელით მოქმედებდა საბჭოთა კავშირის დროს და რომელსაც ფაქტიურად სახელმწიფო საზღვრის დატვირთვით არასდროს უმოქმედია საბჭოთა კავშირის დაშლის და საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. **ქართული მხარის დაუფიქრებელი, ქარაფშუტული ფსევდოპატრიოტიზმის და ავანტიურისტული პოლიტიკის შედეგად საზღვრამდე ვერ მივედით. მისასვლელი გზა ოსებმა და აფხაზებმა გადაკეტეს, საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში შემავალი ავტონომიების მოსახლეობამ.** დამოუკიდებელი საქართველო საერთაშორისო არენაზე იმ 70.000 კვადრატული კილომეტრით გავიდა, რომელიც მას იურიდიულად და ფაქტიურად ჰქონდა საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს და იურიდიულად და არა ფაქტიურად შემორჩა დამოუკიდებლობის ჟამს. თუ რატომ მოხდა ასე, ძნელად ამოსახსნელი არ არის. **ობიექტური, თვითკრიტიკული მიდგომის შემთხვევაში მიზეზები საკუთარ ქვეყანაში, საკუთარ ხელისუფლებაში, საკუთარ თავში უნდა ვეძებოთ — ნაკლები თითის შვერით სხვისკენ.**

მაინც რამდენი გვაშორებს გერმანიისგან, რომელმაც გადახარშა მომხდარი, აღიარა შეცდომები, დანაშაული და რახანია თავბრუდამხვევი ტემპით აშენებს ცხოვრებას. გერმანია ევროკავშირის ლოკომოტივია — ყველაზე განვითარებული, დალაგებული, მაგრამ მანამდე იყო ვაჟკაცობა ჩადენილის აღიარებისა. მას წამითაც არ მოსვლია თავში აღმოსავლეთისკენ გაეშვირა ხელი — ის არის დამნაშავე, მან ჩამადენინა დანაშაული. **ის აზრი, რომ ომი ჰიტლერს კი არ დაუწყია, არამედ სტალინს — რაც არ უნდა პარადოქსულად გვეჩვენოს, გერმანიაში კი არა, თანამედროვე რუს ლიბერალებში გაჩნდა. რუსმა (რუსმა?) მწერალმა ვიტორ სუვოროვმა ამ თემას არაერთი წიგნი მიუძღვნა. მათში განსაკუთრებით „დამაჯერებლად“ გამოიყურება „ლედოკოლი“, რომლის მიხედვით სტალინს ყველაფერი ულონია, ფაშისტური გერმანია რომ თავს დასხმოდა.**

2008 წლის ცხინვალის ომმა ფაქტობრივ დაკარგულს იურიდიულიც დაუმატა, რითაც მსუყე კითხვის ნიშანი დაუსვა საბჭოთა საქართველოს დრონდელ 70.000 კვადრატულ კილომეტრს. ამ საბედისწერო წელმა ბევრ საკითხს მოჰფინა ნათელი. უპირველეს ყოვლისა, რუსეთის სიმტკიცეს. დასავლეთმა და აშშ-ა ნათლად იხილეს კრემლის უკომპრომისო პოზიცია — მზადყოფნა ომისათვის. „რბილი“, „დამყოლი“, „ბუნჩულა“, „სუსტი“ რუსეთის იმიჯს, ომამდე მოარულს მთელს მსოფლიოში, წერტილი დაესვა. **რუსეთმა, საქართველოსთან უფრო სწორად, აშშ-ის სერიოზული გავლენის ქვეშ მოქცეულ ქვეყანასთან და სამომავლოდ ნატოსთან (ამაზეც ფიქრობს რუსეთი), ბუფერული მინი სახელმწიფოები შექმნა; ოკუპირებულ ტერიტორიებზე სასწრაფოდ განათავსა სამხედრო ბაზები. სამომავლო ვარაუდის მიხედვით, რომელთა შესახებ არცთუ იშვიათად იბეჭდება ამერიკულ პრესაში, არც ამერიკული სამხედრო ბაზის გაჩენა უნდა გაგვიკვირდეს. ამერიკელი რესპუბლიკელი სენატორების წერილობითი მიმართვა პენტაგონისადმი ევროპისათვის განკუთვნილი რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის რადარის საქართველოში დადგმის თაობაზე, ქვეყანას აახლოებს ხელისუფალთა სანუკვარ ოცნებასთან — აშშ-ს სამხედრო ბაზებთან საქართველოში. ასე და ამრიგად 70.000 კვადრატულ კილომეტრზე სამ სამხედრო ბაზას მივიღებთ. აქედან ორი უკვე მოქმედებს.**



აგვისტოს ომმა გააფართოვა მეზობელი თურქეთის პოლიტიკური აქტიურობა კავკასიაში. ეკონომიკურ დომინირებას, რასაც საქართველოში აქვს ადგილი, პოლიტიკურიც დაემატა. გააქტიურდნენ ისეთი ქვეყნებიც, როგორებიცაა ირანი და ისრაელი. ისინი გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობენ კავკასიას, კერძოდ საქართველოს, ვიდრე ომამდე. და რაც არ უნდა არასასიამოვნო იყოს ოფიციალური თბილისისთვის, უცხო სახელმწიფოების მხრიდან დაიწყო პოლიტიკურის გარდა ყველა სახის კავშირები საქართველოდან განდეგილ ყოფილ ავტონომიებთან. აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის, რუსეთის და კიდევ რამდენიმე სახელმწიფოს მიერ დამოუკიდებლად ცნობას მოჰყვა საზღვარგარეთის ქვეყნების დაინტერესება ამ „სახელმწიფოებით“. და არა მარტო ამით, არამედ დღევანდელი ხელისუფლების ერთობ არაკომპეტენტური, გამაღიზიანებელი დიპლომატიით.

**აპრილის პირველ დეკადაში აფხაზეთში სტუმრად იმყოფებოდნენ ისრაელის ცნობილი კომპანია globAL cst ხელმძღვანელები. კომპანიაში მნიშვნელოვან თანამდებობებზე მუშაობენ ისრაელის თავდაცვის არმიის (ცახალი) ყოფილი მაღალჩინოსანი ოფიცრები. კომპანიას მჭიდრო ურთიერთობა აქვს ისრაელის ხელისუფლებასთან. ცახალის ოპერატიული სამმართველოს გენერალური შტაბის უფროსი ისრაელ ზივი ხელმძღვანელობს კომპანიას, ხოლო პრემიერ-მინისტრ ნეთანიაჰუს ყოფილი სამხედრო მდივანი მეირ კლიფი მუშაობს კომპანიაში. სწორედ ეს პირები და მათთან ერთად კიდევ 6 მაღალი თანამდებობის პირი იმყოფებოდა სოხუმში. აფხაზეთის ხელისუფლებასთან მოლაპარაკების შემდეგ პრემიერ-მინისტრმა შამბამ განაცხადა, რომ აფხაზეთის ხელისუფლება მზადაა, კომპანია დაუშვას წიაღისეული სიმდიდრეების დამუშავების საქმეში, ისეთი, როგორებიცაა ქვანახშირი, ცინკი და მოლიბდენი, ბარიტი, ვერცხლი, ნიკელი, სპილენძი. რაც შეეხება ნავთობს — ის უკვე დაჯავშნულია „როსნეფტის“ მიერ. მოლაპარაკების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე კომპანიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მზად არიან დახმარება გაუწიონ სოხუმს არათავდასხმითი იარაღის, უსაფრთხოებისთვის საჭირო მოწყობილობების, სამედიცინო დანადგარების, მაღალი დონის ტექნოლოგიური აპარატურის მიწოდებაში და სხვა. აღსანიშნავია ისიც, რომ ისრაელის დელეგაციის სოხუმში ჩასვლამდე, აფხაზთა სამთავრობო დელეგაცია იყო სტუმრად ისრაელში, სადაც გარდა ეკონომიკური სახის მოლაპარაკებისა, გამართა შეხვედრა-საუბრები ისრაელის კნესეტში. ისრაელ-აფხაზთა საქმიანი შეხვედრებს მოსკოვშიც ჰქონდა ადგილი. ბევრი მიიჩნევს, რომ ისრაელის აფხაზეთით დაინტერესება გამოწვეულია საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით დაეპატიმრებინა ებრაელი ბიზნესმენები ფუქსი და ფრენკელი. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართულმა მხარემ არაფრად ჩააგდო ისრაელის პრეზიდენტის შიმონ პერესისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ავიგდორ ლიბერმანის თხოვნა დაპატიმრებულების გათავისუფლების თაობაზე. მაგრამ ყველაფერთან ერთად არის მთავარი — დამოუკიდებლობამიღებულ ახალ ქვეყნებში ფეხის მოკიდება.**

აფხაზეთში ჩვეულებრივად ითვლება თურქეთის ბიზნესი და ინვესტიციები, ორთა შორის სხვადასხვა სახის დელეგაციების გაცვლა და სხვა. ამას წინათ აფხაზეთში იმყოფებოდა გფრ-ს ერთ-ერთი მიწის მთავრობის წარმომადგენლებიც. და ეს ყველაფერი მიმდინარეობს დასავლეთის მუდამ რიხიანი განცხადებების ფონზე — ჩვენ არ ვცნობთ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას, ვაღიარებთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. საქართველოს ხელისუფლება მეასე ცაზე იყო ევროკავშირის მაღალჩინოსნის კეთრინ ეშტონის განცხადებით ლავროვის სოხუმ-ცხინვალში ვიზიტის შემდეგ. როგორც იცით, ეშტონმა დაგმო ლავროვის მოქმედება. ყურისმომჭრელად გაისმის ხმამაღალი განცხადებები — ორი ყოფილი ავტონომიის უცხოეთთან კავშირების გაფართოების საქმე კი ქარავანივით მიდის. ილაპარაკონ, არსებულ რეალობასთან შედარებით კარგი მოსასმენი მაინც არის. საქართველო არ დაიღლება ამის მოსმენით, მაგრამ ისინი რომ დაიღალონ? მსგავსს არაერთხელ ჰქონია ადგილი ისტორიაში. დაიღალონ ან ბოლოს და ბოლოს გაიზიარონ ლავროვის ნათქვამი, რომ 2008 წლის შემდეგ შეიცვალა ვითარება.

ლავროვის ვიზიტს სხვა ელფერი დაჰკრავდა. ის დასავლეთის, კერძოდ აშშ-ს გამოწვევა უფრო იყო, ვიდრე რიგითი ვიზიტი და უკავშირდება რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრებას. აშშ-მა უკვე მერამდენედ განაცხადა, რომ ხელს შეუწყობს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრებას. თუ ოფიციალური ვაშინგტონის განცხადების გულწრფელობაში ეჭვს არ შევიტანთ, მან რუსეთის საწინააღმდეგო ბარიერი უნდა მოახსნევინოს საქართველოს. არადა ქართული მხარის განცხადება რუსეთის საზღვარზე ქართველი მებაჟეების ჩაყენებასთან დაკავშირებით საწინააღმდეგოზე მეტყველებს. ასევე სხვაზე მეტყველებს ევრაზიის საკითხებში აშშ-ს პრეზიდენტის თანაშემწის მაკფოლის განცხადებაც, რომ რუსეთმა საქართველოსთან თვით უნდა მოაგვაროს ურთიერთობა. უნებლიედ იბადება კითხვა — სურს თუ არა ვაშინგტონს რუსეთის ხილვა სავაჭრო ორგანიზაციაში და თუ სურს რატომ არაფერს ეუბნება საქართველოს? მაკფოლის განცხადება, ქართული მხარის აბსურდულ-აბსტრაქტული დაჟინება და ლავროვის ვიზიტი აშკარა მიმანიშნებელია იმაზე, რომ ვაშინგტონ-მოსკოვის პოლიტიკური ვაჭრობა ამ საკითხთან დაკავშირებით გრძელდება.

**სოხუმ-ცხინვალში ვიზიტით ლავროვმა მთელს მსოფლიოს აუწყა, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია ის სანუკვარი ოცნება არ არის, რისთვისაც კრემლი უარს იტყვის ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობაზე. თბილისის მოთხოვნების დაკმაყოფილება, ირიბად სწორედ ამის დამადასტურებელი იქნება. რუსეთისათვის მნიშვნელობა აქვს სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლას, მაგრამ არც ისეთი სასიცოცხლო, როგორც საქართველოს, აშშ-ს ან ევროპას ჰგონიათ. რუსეთის პოლიტიკური წრეები აშკარად წინააღმდეგნი არიან ორგანიზაციაში შესვლის, ვინაიდან მათი განცხადებით რუსეთი დაკარგავს დამოუკიდებლად მოქმედების შესაძლებლობას. თუ ვინმე უნდა იყოს დაინტერესებული რუსეთის გაწევრებით — დასავლეთი უნდა იყოს. რუსეთის პოზიცია ხაზგასმით ჩამოაყალიბა პრემიერმა პუტინმა, რომელმაც სახელმწიფო სათათბიროში ყოველწლიური ანგარიშით გამოსვლის დროს აღნიშნა: „თანამედროვე მსოფლიოში თუ შენ სუსტი ხარ, აუცილებლად მოიძებნება ვინმე, რომელიც შეეცდება გირჩიოს რა მიმართულებით უნდა წახვიდე, როგორი პოლიტიკა უნდა გქონდეს, რა გზა უნდა აირჩიო საკუთარი ქვეყნისათვის. ერთის შეხედვით, კეთილის მსურველების არა თავსმოხვეული რჩევების უკან სინამდვილეში დგას უხეში დიქტატი და დამოუკიდებელი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევა“. როგორც ჩანს, პუტინს დღემდე ვერ გადაუხარშავს აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის ბაიდენის ვიზიტი რუსეთში და განცხადება, რომ ამერიკა უარყოფითად იხილავს პუტინის მონაწილეობას საპრეზიდენტო არჩევნებში. რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრებამდე საკმაო დროა დარჩენილი. შეძლებენ თუ არა მოსკოვ-ვაშინგტონი ამ პრობლემის მოხსნას, უახლოესი მომავალი გვიჩვენებს.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

ინფორმაცია

## „ბორჯომის“ გამო მოსკოვი ორ ბაზარს ხურავს

**„როსპოტრებნადზორი“ მოსკოვში „ბორჯომის“ გამო ორი ბაზრის დაკეტვას აპირებს. ამასთან დაკავშირებით რუსული მედია იუწყება, რომ საუბარია დოროგომილოვისა და ჩერიომუშკინის ბაზრებზე, სადაც გამოვლენილია „ბორჯომის“ კონტრაფაქტული ვაჭრობის ფაქტები. „ბორჯომის“ სასაქონლო ნიშანს მიმსგავსებული პროდუქცია მოსკოვის ბაზრებზე დიდი ხანია გამოჩნდა, რამაც როგორც მწარმოებლების, ასევე მომხმარებლების უკმაყოფილება გამოიწვია. კონტრაფაქტული „ბორჯომის“ მწარმოებელი კომპანიის შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.**

**ბაზრების შესაძლო დაკეტვასთან დაკავშირებით, რუსეთის მთავარმა სანიტარმა გენადი ონიშჩენკომ ჯერ კიდევ 21 აპრილს განაცხადა.**

ჯი-ეიჩ-ენი




გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

◉ ჟამი ცვლილებათა

**მძიმე ლითონების დიდი შემცველობის მქონე მავნე გაზებით გარემოს დაბინძურება, დედამიწის ატმოსფეროში სათბურის ეფექტის გაძლიერება, რაც, თავის მხრივ, უკიდურესად ნეგატიურ გავლენას ახდენს მყინვარებსა თუ პოლარულ ქუდებზე და მათს დაჩქარებულ დნობას იწვევს, ასევე საწვავის ფასების შეუნელებელი ზრდა – აი, ის „სამი ვეშაპი“, რომლებსაც საავტომობილო მრეწველობაში რევოლუციური შემოტრიალება ეფუძნება, რასაც ბენზინსა და დიზელს საწვავზე მომუშავე ავტომანქანების ელექტრომობილებით ჩანაცვლება მოჰყვება.**

# ოროთახიანი „ჯიპებიდან“– საკუჭნაოსხელა „ტვიზებზე“

ბუნებრივია, რომ ამ სიახლის რამდენადმე მნიშვნელოვანი მასშტაბით განსახორციელებლად აუცილებელია ქვეყნაში სათანადო ინფრასტრუქტურის აშენება, რაც, პირველ ყოვლისა, შესაბამისი ავტოგასამართი სადგურებისა და პროფილაქტიკური მომსახურების ცენტრების მოწყობას გულისხმობს. ეს კი, მოგეხსენებათ, ძალიან დიდ ინვესტიციებს საჭიროებს, რაც ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში იოლად გადასაჭრელი საკითხი სულაც არ არის. როგორც ჩანს, ეს ერთია იმ მიზეზთა შორის, რომელთა გამო მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების მთავრობები ელექტრომობილებით ტრადიციულ საწვავზე მომუშავე ავტომობილების სრულმასშტაბიან ჩანაცვლებას მაინცდამაინც არ ჩქარობენ.



ამ საერთო ფონზე მკვეთრად გამოირჩევა საქართველოს მთავრობა, რომლის ელიტა, სადღეისოდ არსებული ერთობ პრეტენზიული გეგმის თანახმად, ელექტრომობილებზე უკვე გაისად უნდა „გადაჯდეს“. აღსანიშნავია, რომ ამ პროექტის განხორციელებას მთავრობა ცნობილ ფრანგულ-იაპონურ კონცერნთან „რენო-ნისანთან“ ერთობლივად გეგმავს. საქმე ის არის, რომ პირველ სერიულ ორადგილიან ელექტრომობილს „ტვიზი EV“-ს ეს ავტოგიგანტი წლეულს გამოუშვებს, ხოლო ახალი ავტომანქანის ფასი 7 ათასი ევრო იქნება და თავის ანალოგებზე (მაგალითად, იაპონურ სერიულ ავტოკარზე „ნისან ლიფზე“, რომლის ევროპაში გასაყიდი ფასი 33 ათასი ევროაძ, რამდენჯერმე იაფი დაჯდება.

საქართველოს მთავრობასა და „რენო-ნისანის“ ხელმძღვანელობას შორის ელექტრომობილების საექსპლუატაციოდ საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარების თაობაზე თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას საფრანგეთში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ვ.ქობალიას ბოლო ვიზიტისას მოაწერეს ხელი.

აღსანიშნავია, რომ მთელი რიგი დადებითი ეკოლოგიური მხარის მიუხედავად, ელექტრომობილების წარმოება საკმაოდ ძვირია, რასაც, არსებითად, მათი ბატარეების მაღალი ფასი განაპირობებს. წელან აღვნიშნეთ, რომ ანალოგებთან შედარებით ფრანგული „რენო ტვიზი EV“-ის დაბალი ფასი, რომელიც მასობრივად წლის დამლევისთვის გაიყიდება, იმითაა განპირობებული, რომ ფრანგული ავტომანქანის მფლობელი მის საფასურს ელექტრობატარეის ფასის გარეშე გადაიხდის, რომელსაც იჯარით აიღებს.

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რამდენიმე ხნის წინათ, როცა საქმე სამთავრობო ავტოპარკის გადახალისებას შეეხო, კერძოდ, განაცხადა, ეკონომიური ელექტრომობილების პირველი მომხმარებლები სწორედ საქართველოს მთავრობის წევრები იქნებიანო. ისე კი, კაცმა რომ თქვას, ძვირიან და ლამის ჩეხური პროექტის ოროთახიანი ბინისხელა „ჯიპებს“ და არანაკლებ მდიდრულ „მერსედესებსა“ და „ბმვ“-ებს ასე მკვიდრად „შეზრდილი“ ჩვენი ნაციონალი ჩინოსნები როგორ შეეგუებიან „ცხვირსახოცისხელა“ „ტვიზებს“, ადვილი წარმოსადგენი ნამდვილად არ არის, თუმცა არც ერთ მათგანს ეს პერსპექტივა რომ არ ეპიტნავება, ამის მიხვედრა კი რთული სულაც არაა.

ჩვენს მკითხველს შევახსენებთ, რომ აღნიშნულ საკითხზე „საქართველოს რესპუბლიკა“ შარშან, წლის მიწურულსაც წერდა და მაშინაც ვთქვით, რომ ელექტრომობილების წარმოებით და მათთვის სათანადო ინფრასტრუქტურების გამართვით ძალიან არიან დაინტერესებულნი ამერიკის შეერთებული შტატებისა და ეკონომიკურად ძლიერი ევროპის სახელმწიფოთა მთავრობები, რომლებიც იხდიან კიდეც ხარჯის ნაწილს, რათა თავიანთ მწარმოებლებს ხელი შეუწყონ სამრეწველო და ეკონომიკურ საქმიანობაში.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და „რენო-ნისანს“ შორის ხელმოწერილი შეთანხმების ფარგლებში, რომელიც ჩვენს ქვეყანაში სათანადო გამოკვლევების ჩატარებას ითვალისწინებს, ფრანგი სპეციალისტების ჯგუფებმა ქართული პარტნიორის, „იბერია ბიზნეს გრუპელ“ კოლეგებთან ერთად პირველი სამუშაოები უკვე შეასრულა. განსაზღვრეს ჩვენში ელექტროავტომობილების პარკის გამართული ფუნქციონირებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მართვის შესაძლებლობები, ასევე ფრანგული „რენო-ნისანების“ მოწოდების პირველ ეტაპზე მათი ოპტიმალური რიცხოვნობა.

**დავით მერიშვილი**

◉ ინფორმაცია თემაში

*„რენო ტვიზი EV“– ესაა მცირეგაბარიტიანი, კომპაქტური, ორადგილიანი ავტომანქანა. იგი სულ 20 ცხენის ძალის მქონე ძრავითაა აღჭურვილი. ავტომანქანის მაქსიმალური სიჩქარეა საათში 75 კილომეტრი, გარბენის მარაგი ელექტრობატარეის დაუტენავად – 100 კილომეტრი.*

◉ ვინ ააშენებს სოფელს?

# პოლიტიკის პერსონიზაცია...

**რა შესანიშნავი ვოკალურ-ინსტრუმენტალური ანსამბლი იყო „ივერია“, რა პოპულარობით სარგებლობდნენ ანსამბლის წევრები მთელ ქვეყანაში. მათ ყველა სიმღერას ხალხი აიტაცებდა და მღეროდა. ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ ასეთ კოლექტივს შეეძლო ისეთი რამ ემღერა, რაც მერე ქვეყანას... თქვენ თვითონ განსაჯეთ: სოფლის შენებას რა უნდაო? – მღეროდნენ ანსამბლის წევრები – ერთი პირველი ხმა უნდა, ერთი მეორე ხმა უნდა, ერთიც კარგი ბანი უნდაო, და შემდეგ მოდიოდა მისამღერი. ეს სიმღერაც ხალხმა აიტაცა, ისე როგორც სხვა სიმღერები.**



სიმღერა თავისი პოპულარობით ზენიტში იყო, როცა ახალი ქართველები სკოლის მოსწავლეები იყვნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათ ჰაერშივე დაიჭირეს სიმღერაში სათავისო და გარკვეული დროის შემდეგ, როცა საჭადრაკო დაფაზე თავდახრილმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ (ძალიან ძ გრძელი როქი გააკეთა, ახალი ქართველებიდან შესანიშნავმა სამეულმა, საჭირო მომენტში საჭირო ადგილზე რომ აღმოჩნდა, სიმღერის თქმის უფლება ბრძოლით მოიპოვა. ერთმა პირველი ხმა თქვა, მეორემ – მეორე, ხოლო მესამემ – ბანი. მათი სიმღერა ძალიან მაღალი ტონალობითა და რაღაც ამპარტავნობით გამოირჩეოდა, თითქოს ის სოფელი, რომელიც უნდა აშენებულიყო, მათი წინაპრებისაგან იყო მემკვიდრეობით მიღებული და ზურგზე მოკიდებული მოჰქონდეთ ქართველი ხალხისთვის.

გამოხდა ხანი და ბანმა სიმღერა შეწყვიტა, ვერ ვიმღერებ, ეს ქართული სიმღერა არ არისო.

– როგორ თუ ქართული სიმღერა არ არის, – გადაირია პირველი ხმა. – შენ რომ ხარ ქართველი და მაშასადამე ევროპელი, ევროპას მოსწონს, ტაშს უკრავს ამ სიმღერას, უფრო მეტიც, ევროპა და ამერიკა ფულს იხდიან ამ სიმღერაში, ხომ არსებობს წესი, ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს და შენ რაღა პრობლემა გაქვს.

– მე ბანს ველარ ვიტყვი, ქართული სიმღერა არ გამოდის, – დაიჟინა ბანმა.

– ვერ იტყვი და ჩადი მატარებლიდან, როგორც ჩანს, შენ მატარებელი შეგშლია – ხელი ჰკრა და ბანი ვაგონიდან ჩააგდეს, ერთმანეთი კი დაამშვიდეს, თავის მატარებელს გამოჰყვება და დაგვეწევაო.

სიმღერა გაგრძელდა, პირველი პირველს მღეროდა, მეორე – მეორეს, ბანს ახლად აყვანილი მომღერალი მღეროდა.

გამოხდა ხანი და ახლა მეორე ხმამ გააპროტესტა სიმღერა – ხალხი ამტკიცებს, რომ ჩვენ ქართულ სიმღერას არ ვმღერითო.

– ხალხმა არ იცის, რომელი სიმღერაა დღეს საჭირო – შეიცხადა პირველმა ხმამ, – ხალხს მე ვაძლევ პურს და სანახაობას, მას მეტი არაფერი უნდა. ხალხზე აპელირება არ გამოვა, შენ გინდა იმღერო ძველი, „თუნდაც მრავალჟამიერ ნამღერი“, რაშიაც ფულს არავინ გადაგიხდის. გარდა ამისა, მე ვარ პირველი, ხალხის მიერ დემოკრატიულად არჩეული და როგორც მსურს ისე ვიმღერებ. ამავე დროს, მე ვარ პერსონა ჩემი თამაშის წესებით. მსოფლიოში დღეს მიმდინარეობს პოლიტიკის პერსონიზაცია. ჩვენ მსოფლიოს და პირველ რიგში ევროპისა და ამერიკის ნაწილი ვართ და ამიტომ როგორც ვმღერი და სოფელი როგორც შენდება, ის ჩემი პერსონიდან გამომდინარეა, რაც სრულიად ჯდება ევროპულ სტანდარტებში!

მე მაინც აღარ ვიმღერებ მეორე ხმასო – მეორემ.

– მოდი, მშვიდობიანად დავშორდეთ ერთმანეთს, – შესთავაზა პირველმა, – განაცხადე, რომ „ხმა აღარ მოგდევს“ და პენსიაზე გადიხარ.

მეორე ხმამ შეთავაზება მიიღო.

სიმღერა გაგრძელდა. პირველი პირველი ხმით მღეროდა, მეორე ხმით – ახლად აყვანილი მომღერალი, ბანს ძველად აყვანილი მომღერალი ამბობდა. სიმღერა რაღაც ამპარტავნული გამოსდიოდათ, თითქოს სოფელი, რომელიც უნდა აეშენებინათ, ზურგზე მოკიდებული, ხალხით, ტყით, ველ-მინდვრებით, უკვე ევროპაში ჩაეტანათ.

სოფელი აშენდა თუ არ აშენდა? – იკითხავს მკითხველი.

ამ შეკითხვას ახლა ვინ უპასუხებს? ამბობენ, სულ მალე ახალი პერსონა მოვა თავისი ხმით და „თამაშის წესებითო“. ის მოიყვანს ახალ მეორე ხმას და ბანსო. ისინი როგორც იმღერებენ, ეს არის მთავარი და არა ის, რა შენდებაო, ე. ი. მთავარი პოლიტიკის პერსონიზაცია არისო.

დაველოდოთ ახალ პერსონას.

**ნუგზარ კობახიძე**

◉ ინფორმაცია

## „დეზერტირების“ მომავალი

**ყოფილი „დეზერტირების ბაზარი“ ივლისიდან შესაძლოა, 15 თვით დაიხუროს. „დეზერტირების ბაზრის“ მფლობელი ს კომპანიის „თბილისი მოლის“ დირექტორმა რევაზ ქადაგიძემ ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოების დაწყებას გეგმავენ.**

**მისივე თქმით, ახალი ბაზრის მშენებლობის პროექტს ამჟამად მერიაში განიხილავენ, ძველი ბაზრის ტერიტორიაზე კი უშუალოდ სამუშაოების წარმოება ივნისის ბოლოსთვის დაიწყება. ქადაგიძის განმარტებით, კომპანიას ბაზრიდან მოვაჭრეების გაყვანის გადაწყვეტილება მიღებული ჯერ არ აქვს. – საეჭვოა, რომ ტერიტორიაზე მშენებლობა სავაჭრო პროცესის პარალელურად შევძლოთ. საბოლოო გადაწყვეტილებას სამშენებლო კომპანიის შერჩევის შემდეგ მივიღებთ, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით ბუნებრივია, რეკომენდაციებს მოგვცემს, – აღნიშნა ქადაგიძემ.**

**ამჟამად ბაზრის ტერიტორიაზე ასობით ფიზიკური და იურიდიული პირი ვაჭრობს, რომლებსაც შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ალტერნატიული სავაჭრო ფართების მოძიება მოუწევთ. ერთ-ერთი ალტერნატივაა „დიდუბის მარკეტი“, რომელიც „დეზერტირების ბაზართან“ ახლოსაა და ბევრად უკეთესი პირობებია სავაჭროდ. მოედანი აღჭურვილია ულტრათანამედროვე სამაცივრე მეურნეობით და ევროსანდარტების სავაჭრო ფართებით.**

**ბატონ ქადაგიძის თქმით, პროექტის სავარაუდო ღირებულება 10-15 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. თანხების ნაწილს კომპანიის დამფუძნებლები მიიზიდავენ, დარჩენილ ნაწილს კი „თბილისი მოლი“ ერთ-ერთი კომერციული ბანკისგან სესხად აიღებს. ახალი ბაზარი სავარაუდოდ ექსპლუატაციაში 2012 წლის ოქტომბერში შევა.**

**არსებული პროექტის მიხედვით, სამსართულიანი ბაზრის მშენებლობა იგეგმება. აქედან, პირველ სართულზე საბითუმო ბაზარი, მეორეზე – საკოლმეურნეო, ხოლო მესამე სართულზე შერეული ტიპის ბაზარი განთავსდება, სადაც ავეჯისა და ტანსაცმლის გარდა, ყველანაირი წვრილმანი გაიყიდება. კომპანია პირველ და მეორე სართულებს გააქირავებს, ხოლო მესამე სართულის მართვას თავად განახორციელებს.**

**ყოფილი „დეზერტირების ბაზარი“ 2007 წელს სს „ლაერტ ზუბადალაშვილმა“ შეიძინა, თუმცა შემდეგ „თბილისი მოლზე“ გადაყიდა. როგორც ქადაგიძე ამბობს, კომპანია ოფშორშია რეგისტრირებული და მას რამდენიმე დამფუძნებელი ჰყავს.**

ჯი-ეიჩ-ენი

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ქართული ოპოზიცია ახალ რევოლუციას ამზადებს

**საქართველოს ოპოზიციურმა მოძრაობამ „საყოველთაო სახალხო წარმომადგენლობითი კრება“, რომლის არაფორმალურ ლიდერადაც პარლამენტის ექს-სპიკერი ნინო ბურჯანაძე ითვლება, ორშაბათს გამოაცხადა მასშტაბური ანტისამთავრობო გამოსვლების დაწყების შესახებ, რომელთა კულმინაციადაც უნდა იქცეს 21 მაისის საერთო ეროვნული დაუმორჩილებლობის აქცია. სხვათა შორის, ბევრი პოლიტიკოსი და ექსპერტი ეჭვს გამოთქვამს ბურჯანაძის უნარში განახორციელოს ახალი რევოლუცია საქართველოში.**

ახალი რევოლუციის თარიღის შესახებ ოპოზიციონერებმა, რომლებიც გაერთიანებული არიან ეგიდით „საყოველთაო სახალხო წარმომადგენლობითი კრება“, გამოაცხადეს ორშაბათს სპეციალურ ბრიფინგზე. მათი განზრახვით, 21 მაისს თბილისში თავისუფლების მოედანზე, სადაც 2003 წელს დაიწყო „ვარდების რევოლუცია“, გაიმართება საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობის აქცია, „რომლის შედეგადაც პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იძულებული გახდება გადადგეს“. საყოველთაო სახალხო წარმომადგენლობითი კრება, რომელიც შეიქმნა შარშან შემოდგომაზე, აერთიანებს ქართული ინტელიგენციის ბევრ თვალსაჩინო წარმომადგენელს — მის სათავეში იდგნენ ქართული ლიტერატურის ცოცხალი კლასიკოსი ჭაბუა ამირეჯიბი და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილი.



იმის შესახებ, რომ საყოველთაო სახალხო წარმომადგენლობითი კრება და მისი მომხრე ოპოზიციური პარტიები მზად არიან 2 მაისიდან გადავიდნენ აქტიურ მოქმედებებზე, მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა, მსახიობმა გიორგი ბურჯანაძემ გამოაცხადა ჯერ კიდევ მარტში. „ბრწყინვალე შვიდეულის დამთავრებისთანავე ჩვენ დავიწყებთ აქტიურ მოქმედებებს სამოქალაქო დაპირისპირების პროცესის ფარგლებში და საყოველთაო სახალხო დაუმორჩილებლობის დღისთვის მზადებას“, — განაცხადა მაშინ ბატონმა ბურჯანაძემ საყოველთაო სახალხო კრების საინიციატივო ჯგუფის სახელით. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ამ განცხადებას ანიჭებდა ის, რომ გიორგი ბურჯანაძე არის შეუიარაღებელი ჯგუფის „შეწირულის“ ხელმძღვანელი. ამ ჯგუფის მოწოდება, მისი სიტყვებით, არის „დაიცვას დემონსტრანტები ხელისუფლების მცდელობის შემთხვევაში, ძალით ჩაახშოს პროტესტის მშვიდობიანი აქცია“.

საყოველთაო სახალხო წარმომადგენლობითი კრების არაფორმალური ლიდერი, პარლამენტის ექსსპიკერი ნინო ბურჯანაძე არაერთგზით აღნიშნავდა, რომ 2 მაისს პროტესტი მხოლოდ იწყება, გადამწყვეტი აქციის თარილი გამოცხადდება მოგვიანებით. „ყველაფერი უნდა მოხდეს მაისის თვის განმავლობაში, ჩვენ არ ვაპირებთ უსასრულოდ გავაგრძელოთ ეს პროცესი და თვეობით ვატაროთ ხალხი წინ და უკან“, — განაცხადა ქალბატონმა ბურჯანაძემ, რითაც აშკარად მიუთითებდა 2009 წლის სამთვიან საპროტესტო აქციებზე, რომლებიც უშედეგოდ დამთავრდა.

სხვათა შორის, ქალბატონი ბურჯანაძის რწმენას რეჟიმის მალე დამხობის შესახებ ყველა ოპოზიციონერი როდი იზიარებს. „ჩვენ არ ვიცით, თუ კონკრეტულად ბურჯანაძე და მისი მომხრეები როგორ აპირებენ მოქმედებას, რათა შეცვალონ ხელისუფლება, — გაგვიზიარა თავისი ეჭვი რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ბერძენიშვილმა. — ის, რომ ქვეყანაში ყველაფერი ცუდადაა, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ხალხი მზად არის რევოლუციისთვის“.

ზომიერი ოპოზიცია ძირითად იმედებს ამყარებს ხელისუფლებასთან მოლაპარაკებაზე დასავლეთის შუამდგომლობით საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლის მიზნით. „ჩვენ არ ვეთანხმებით ნინო ბურჯანაძის მთავარ თეზისს სააკაშვილისგან ქვეყნის გათავისუფლების შეუძლებლობის შესახებ არჩევნების გზით, — განაცხადა პარტია „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერმა დავით გამყრელიძემ. — რევოლუციებს არაფერი კარგი ჩვენი ქვეყნისთვის არ მოუტანია. სინამდვილეში ამერიკელი მეგობრების დახმარებით სავსებით შესაძლებელია შეიქმნას საქართველოში დემოკრატიული გარემო, რომელშიც ხელისუფლება შეიცვლება სამართლიანი და პატიოსანი არჩევნების დახმარებით“.

პარტიები, რომლებიც მხარს უჭერენ დიალოგს მიხეილ სააკაშვილის გუნდთან, თავიანთ პოზიციას ხსნიან შიშით, რომ სიტუაციის განვითარების შემთხვევაში, ჩრდილოეთი აფრიკის სცენარის შესაბამისად, რუსეთს შეუძლია ჩაერიოს საქართველოს საქმეებში სამხედრო ძალით. „ნატოს მოქმედებებმა ლიბიაში შექმნეს პრეცედენტი საგარეო ჩარევისთვის ხელისუფლებისა და ოპოზიციის დაპირისპირების დროს, რითაც რუსეთს შეუძლია ისარგებლოს ისევე, როგორც კოსოვოს პრეცედენტით აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის აღიარებისთვის“, — გაგვიზიარა თავისი შეშფოთება რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთმა აქტივისტმა, რომელმაც ისურვა არ გაგვემჟღავნებინა მისი სახელი.

ანონსირებულ რევოლუციაში არ აპირებს მიიღოს მონაწილეობა ყოფილი გენერალური პროკურორისა და თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის პარტიაც. თავად ოქრუაშვილი 2007 წლიდან ცხოვრობს საფრანგეთში, როგორც პოლიტემიგრანტი. „ჩვენ ვაპირებთ დაველოდოთ შემოდგომას, როდესაც ქვეყანაში აუცილებლად იქნება უფრო ხელსაყრელი პირობები რევოლუციისთვის, — განმარტეს საქართველოს პარტიაში. — სხვათა შორის, ბურჯანაძისთვის ხელის შეშლას ჩვენ, რასაკვირველია, არ ვაპირებთ“.

დამოუკიდებელი ექსპერტებიც ასევე მიიჩნევენ, რომ ნინო ბურჯანაძეს არ ეყოფა რესურსები ახალი რევოლუციის ორგანიზაციისთვის. „იმაზე მითითება, რომ ქვეყანაში დიდი უმუშევრობაა და უზარმაზარი ინფლაცია, არ ღირს, განაცხადა პოლიტოლოგმა, დიპლომატიური აკადემიის ყოფილმა რექტორმა იოსებ ცინცაძემ, — მთავარია, რომ ამჟამად ქვეყანაში არ არის საკმაოდ ავტორიტეტული პოლიტიკური ძალა, რომელსაც შეეძლება გამოიყვანოს მასები ბარიკადებზე“.

ამ დროს ექსსპიკერის მომხრეები მთელი არსით მზად არიან, იარონ ბოლომდე იმ პირობებშიც კი, როდესაც არც ერთი სერიოზული ოპოზიციური ძალა არ დაუჭერს მხარს მათს იდეას საყოველთაო სახალხო დაუმორჩილებლობის დღის შესახებ. მათი მოქმედების გეგმის შესახებ გვაცნობა საქართველოს სპეცსამსახურების ყოფილმა ხელმძღვანელამა (1992-1993 წლებიძ ირაკლი ბათიაშვილმა: „2-დან 21 მაისამდე პერიოდში საქართველოში გაიმართება სამოქალაქო დაუმორჩილებლობის აქციები. 21 მაისს კი 15 საათზე თავისუფლების მოედანზე გაიმართება საყოველთაო სახალხო დაუმორჩილებლობის მთავარი აქცია — რევოლუციის ზრდის კვალობაზე ჩვენ აუცილებლად შემოგვიერთდებიან“. ოპოზიციონერის სიტყვებით, „ჩვენ გამოვიყენებთ მხოლოდ სამშვიდობო მეთოდებს სამოქალაქო დაპირისპირებისა, მაგრამ ყველაფერი ჩვენზე არ არის დამოკიდებული — ძნელი სათქმელია, გამოიყენებს თუ არა თავად ხელისუფლება ძალას და მოაწყობს თუ არა იგი პროვოკაციებს მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ“.

Коммерсантъ

## დედამიწის ზურგზე




**კოდურმა სიტყვამ ალ-ქაიდას ლიდერის ლიკვიდაციის დროს ამერიკელი ინდიელები შეურაცხყო**

პაროლი „ჯერონიმო“ ოპერაციის წარმატებას ნიშნავდა. ასე ეწოდებოდა აპაჩების ტომის ბელადს, რომელიც XIX საუკუნეში თეთრმა ჩამოსახლებულებმა გაანადგურეს, შეგვახსენეს ამის შესახებ თანამედროვე ინდიელებმა. ამას გარდა, „ჯერონიმო“ ამერიკელი მედესანტეების საბრძოლო ძახილია, რაც სიმამაცისა და ვაჟკაცობის სიმბოლოდ ითვლება.

* * *

**ჯორჯ ბუშმა უარი განაცხადა იზეიმოს ბინ ლადენის სიკვდილი ობამასთან ერთად**



ექსპრეზიდენტმა უარყო ობამას მიწვევა მიიღოს მონაწილეობა ცერემონიაში, რომელიც ეძღვნება № 1 ტერორისტის ლიკვიდაციას და რომელიც უნდა გაიმართოს ნიუ-იორკში 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის ადგილზე. ბუშის სიტყვებით, ის საჯაროობას გაურბის.

* * *



**მეცნიერებმა ბინ ლადენის თავშესაფარი გამოიანგარიშეს ჯერ კიდევ 2008 წელს.**

ალ-ქაიდას ლიდერის განადგურება ამერიკელ სამხედროებს შეეძლოთ ჯერ კიდევ სამი წლის წინათ, მათ რომ მოესმინათ მეცნიერების დასკვნისთვის და არ შეესწავლათ ინფორმაცია, რომელიც მათ მიაწოდა დაზვერვამ. 2008 წელს მოეწყო გამოკვლევა, რომელმაც აჩვენა ბინ ლადენის აღმოჩენის ალბათობა იმ ქალაქში, სადაც ის მოკლეს კიდეც.

* * *

**თეთრი სახლი და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები: უსამა ბინ ლადენი მოკლეს 12 წლის ქალიშვილის თვალწინ**




კორექტირება № 1 ტერორისტის დაღუპვის ვითარებაში შეიტანეს სამშაბათს საღამოს. ცნობილი გახდა, მაგალითად, რომ ის არ იმალებოდა ცოლის უკან და, რომ მისი განადგურების მომენტი არავის უხილავს ვაშინგტონში. მუსლიმანური ქვეყნები უკვე აკეთებს დასკვნას, რომ ამერიკამ „კვლავ იცრუა“.

* * *



**ობამას განცხადება ბინ ლადენის ლიკვიდაციის შესახებ აშშ-ში 56,5 მილიონმა კაცმა ნახა**

ასეთი მნიშვნელოვანი ყურადღება ამერიკელ მაყურებელს არ გამოუჩენია სახელმწიფოს მოქმედი ხელისუფალის არც ერთი ტრადიციული მიმართვისადმი ამერიკის შეერთებული შტატების აღმოსავლეთ სანაპიროზე ჩვენება დაიწყო შუაღამემდე ცოტა ხნით ადრე. მის ტრანსლირებას აწარმოებდა ქვეყნის ათი წამყვანი ტელეკომპანია.

* * *

**აფეთქება ბაღდადში: დაიღუპა 9 კაცი, ათობით დაიჭრა**



ბომბი აფეთქდა მაღაზიის გვერდზე მდგომ ავტომობილში. ორშაბათიდან ერაყის სამართალდაცვის ორგანოები გაძლიერებულ რეჟიმში მუშაობენ იმ ცნობის შემდეგ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სპეცნაზმა მოახდინა ტერორისტ № 1 უსამა ბინ ლადენის ლიკვიდაცია.

* * *



**რუსი სილამაზის დედოფალი ანა მალოვა ამერიკის ციხეში აღმოჩნდა**

ყოფილ „მის რუსეთს“ ბრალს სდებენ ნარკოტიკული პრეპარატების უკანონო შეძენასა და შენახვაში, აგრეთვე მცირე ქურდობაში. თავის ბრალს მალოვა უარყოფს. მისი დაპატიმრება გადაწყვიტეს სასამართლოს სხდომებზე მისი მუდმივი დაგვიანებების გამო. მალოვა დარჩება ციხეში ნარკოდამოკიდებულების მკურნალობის შესახებ საკითხის გადაწყვეტამდე.

* * *

**შედგა სამყაროს ყველაზე დიდი და დაწვრილებითი სამგანზომილებიანი რუკა**



ის ასახავს მდგომარეობას, რომელშიც კოსმოსი იმყოფებოდა 11 მილიარდი წლის წინათ. რუკა შეადგინეს იმ მონაცემების საფუძველზე, რომლებსაც შეიცავენ ვარსკვლავიანი ცის ყველაზე ნათელი ობიექტები — კვაზარები. რუკა საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ სამყაროს გაფართოების სიჩქარე 2 პროცენტამდე სიზუსტით.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ძიება

**მომაკვდავმა ფიროსმანმა სამი დღე ცივი სარდაფის წყვდიადში გაატარა, სადაც მას მეჩექმე არჩილ მაისურაძემ მიაგნო. მეზობლებმა ავადმყოფი ეტლში ჩასვეს და საავადმყოფოში გაამგზავრეს. ბოლომდე არავინ გაჰყოლია, ამიტომაც არ იცოდნენ, მიხეილის საავადმყოფოში მიიყვანეს, თუ ე. წ. „არამიანცში".**

გოგლა ლეონიძე წერდა: „რომელ წელს გარდაიცვალა ფიროსმანი? არჩილ მაისურაძემ დაბეჯითებით გადმომცა, რომ ეს ამბავი მოხდა 1918 წელს, ზედ აღდგომა ღამეს. მისი სიტყვითა და მრავალთა დამოწმებით, ფიროსმანი დამარხულა უპატრონო მკვდართა შორის კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე".

1922 წელს, გაზეთ „ბახტრიონის" მე-8 ნომერი ფიროსმანს დაეთმო. ტიციან ტაბიძის წერილს აქვს მინაწერი, რომელიც გვამცნობს, რომ ფიროსმანი 1918 წელს, აღდგომა ღამეს გარდაიცვალა, დასაფლავებული უნდა იყოს კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზეო.

როგორც დავადგინე, 1918 წელს აღდგომა 5 მაისს იყო. ე. ი. ნიკალა 4 მაისს გარდაცვლილა, მაგრამ, სამწუხაროდ, არასწორი კვლევაძიების შედეგად კვალი აირია. ჟურნალისტი ნელი კოზიაშვილი თითქმის 30 წლის განმავლობაში ამტკიცებდა, თითქოსდა 1918 წელს აღდგომა 18 აპრილს იყო, ხოლო 1919 წელს – 10 აპრილს (ნაცვლად 20 აპრილისა). დღეს, ამ თარიღების გადამოწმება ადვილად შეიძლება ინტერნეტის მეშვეობით.

მიხეილის საავადმყოფოს სარეგისტრაციო წიგნში მოვაკვლიე ჩანაწერს: 1918 წლის 4 მაისს საავადმყოფოში მიუყვანიათ „უცნობი წოდების" მამაკაცი, რომელიც ექიმის მისვლამდე გარდაიცვალა. ალბათ, მოუვლელი და განაწამები ნიკალა გაცილებით ხნიერი ჩანდა, ვიდრე სინამდვილეში იყო, რის გამოც, გაუსინჯავად ის 70 წლისა ჰგონებიათ. ცხედარი 5 მაისს გაკვეთეს. ოქმიდან ჩანს, რომ მას დაავადებული ჰქონია გული, ღვიძლი, ელენთა, თირკმელები. ხოლო ორივე გაკვეთილი ფილტვიდან მოედინებოდა „ქაფიანი სითხე, დიდი რაოდენობით". ოქმის მონაცემები ემთხვევა იმ ჩივილებს, რის გამოც ფიროსმანმა 1893 წელს სამსახურიდან განთავისუფლება ითხოვა, განთავისუფლებამდე ცოტა ხნით ადრე კი იძულებული გახდა ორი თვით შვებულება აეღო და აბასთუმანში წასულიყო სამკურნალოდ.

საისტორიო არქივში ფიროსმანის დაკრძალვის ჩანაწერიც მოვიძიე. მიხეილის საავადმყოფოს ეკლესიის სამეტრიკო წიგნში დაფიქსირებულია 1918 წლის 4 მაისს გარდაცვლილი „უცნობი წოდების" მამაკაცი, რომელსაც 9 მაისს წესი აუგეს და დაკრძალეს. გარდაცვალების მიზეზი – ტუბერკულიოზი. ბოლო გრაფაში „ვინ აღუგო ანდერძი და სად არიან დასაფლავებულნი", აღნიშნულია, რომ საავადმყოფოს სასაფლაოზე დაიკრძალა. იგულისხმება მიხეილის საავადმყოფოში გარდაცვლილი უპატრონო მიცვალებულთათვის კუკიის სასაფლაოზე გამოყოფილი ადგილი. დღეს ეს მონაკვეთი ცალკე აღარ არის შემოსაზღვრული. ვინც ფიროსმანის საფლავის მოძიებას მოინდომებს, მან ასობით მიცვალებულის ძვლები უნდა ამოყაროს, რაც სრულიად გაუმართლებელია. უნდა დავკმაყოფილდეთ იმის ცოდნით, რომ ნიკალა 1918 წლის 5 მაისს კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზეა დაკრძალული.

თუ 4 მაისს მიხეილის საავადმყოფოში მიყვანილი უცნობი ფიროსმანი არ იყო, მაშინ სად გაქრა მომაკვდავი მხატვარი? 4 მაისს, ანუ აღდგომის წინა დღეს, საარქივო ჩანაწერების მიხედვით, თბილისში სხვა „უცნობი" არ გარდაცვლილა.

ამ უტყუარი ვერსიის დაკანონებას ხელს უშლის სხვა ვერსია, რომელიც ძმები ჩაჩანიძეების მონათხრობს ემყარება. ძმები ჰყვებოდნენ, რომ 1918 წელს, მათ დაინახეს, თუ როგორ მოასვენებდნენ არამიანცის საავადმყოფოდან მიცვალებულებს პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. მათ ერთ-ერთ მიცვალებულში ნიკალა ამოიცნეს. ის ძალზე გამხდარი და გაყვითლებული ყოფილა. ტანზე საღებავით დასვრილი ტანსაცმელი ეცვა. ძმებმა მოიყვანეს მღვდელი სამადალაშვილი და საფლავი აკურთხებინეს. მიცვალებული სასაფლაოს ალმოსავლეთ კედლის გარეთ დაასაფლავეს. ნელი კოზიაშვილი წერს: „არამიანცის საავადმყოფოში გარდაცვლილ „უცნობებს" ძირითადად პეტრე-პავლეს სასაფლაოზე მარხავდნენ, ან სხვაგვარად რატომ უნდა მოქცეულიყვნენ, ეს სასაფლაო ქუჩის გადაღმა იყო". ამის დასტურად მას მოჰყავს მაგალითი: არამიანცის საავადმყოფოში გარდაცვლილი ვინმე უცნობი გატარებულია პეტრე-პავლეს „სასაფლაოს" წიგნში: „უცნობი გარდაიცვალა 14 აპრილს... დამარხეს 2 მაისს". ჟურნალისტი ნ. კოზიაშვილი პეტრე-პავლეს ეკლესიის სამეტრიკო წიგნს პეტრე-პავლეს სასაფლაოს წიგნს უწოდებს და ვერ ამჩნევს იმ გრაფას, სადაც მითითებულია, რომ ხსენებული მიცვალებული ნავთლუღის სასაფლაოზე დაუკრძალავთ. ქალაქის საავადმყოფოში (ე. წ. „არამიანცში") გარდაცვლილ უპატრონო მიცვალებულებს პეტრე-პავლეს ეკლესიაში მოიხსენიებდნენ და შემდეგ ნავთლუღის სასაფლაოზე კრძალავდნენ თვეში ერთხელ, ან ორჯერ. პეტრე-პავლეს ეკლესიის მრევლი ცდილობდა, რომ „შავი სახადით" გარდაცვლილი მიცვალებულებიც უცნობებთან ერთად დაეკრძალათ, თუ მათი ჭირისუფლები წინააღმდეგი არ იქნებოდნენ.

ნავთლუღში გადასვენებამდე, „უცნობ" მიცვალებულებს 3-4 კვირის განმავლობაში მორგში ინახავდნენ. ეს ყოველივე საარქივო მასალებით მტკიცდება და საეჭვოდ ხდის ჩაჩანიძეების მოგონებებს. დიდი ხნის გარდაცვლილ უპატრონო მიცვალებულს მორგიდან ურიკით არ მიიყვანდნენ პეტრე-პავლეს სასაფლაოზე, თანაც ჩაცმულს. სახის ფერზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ჩაჩანიძეების ვერსია ნ. კოზიაშვილმა დოკუმენტურად გაამყარა, ჩემი აზრით კი – გააბათილა. ჟურნალისტი წლების მანძილზე იშველიებს ჩანაწერს პეტრე-პავლეს ეკლესიის 1919 წლის სამეტრიკო წიგნიდან, სადაც დაფიქსირებულია 14 მარტს დაკრძალული „უცნობი ნიკოლოზი" და ჩაჩანიძეების მიერ ნახსენები მღვდელი სამადალაშვილი. ნ. კოზიაშვილი ამტკიცებს, რომ ეს ნიკოლოზი, სავარაუდოდ – ფიროსმანი, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე დაკრძალეს. ამ მიგნების საფუძველზე, უნდა დაიწყოს გათხრები. ქალბატონი ნელი მალავს, რომ „უცნობი ნიკოლოზი", რომელიც 23 თებერვალს გარდაიცვალა, 19 დღე მორგში გააჩერეს და ნავთლუღის სასაფლაოზე წაასვენეს სხვა „უცნობებთან" და „შავი სახადით" გარდაცვლილებთან ერთად. 1919 წლის 14 მარტს არამიანცის საავადმყოფოდან ნავთლუღის სასაფლაოზე 58 მიცვალებული გადაასვენეს. მათ შორის იყო ის „უცნობი ნიკოლოზიც", რომლის ძვლებსაც დღეს პეტრე-პავლეს სასაფლაოზე ეძებენ!

ფიროსმანი ასეთ ზერელე „კვლევას" არ იმსახურებს. **კიდევ ერთხელ ვაცხადებ, რომ მხატვარი 1918 წლის 4 მაისს, მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა. დაკრძალეს 9 მაისს კუკიის სასაფლაოზე უპატრონო მიცვალებულთათვის გამოყოფილ მონაკვეთში.**

კარგი იქნება, თუ შეიქმნება კომისია, რომელიც განიხილავს დოკუმენტებს და საბოლოოდ დაადგენს ჭეშმარიტებას.

**მანანა ხომერიკი**

# 4 მაისი ფიროსმანის გარდაცვალების დღე



## წერილი რედაქციას

# სამართლებრივ ქვეყანაში ამას არავინ გაპატიებდათ!

**ბატონ დავით ნინიძეს, ქ. თბილისის პირველ ვიცე-მერს;**
**ბატონ მამუკა ახვლედიანს, ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს**

ქ. თბილისის მთავრობამ გამოაცხადა „მთაწმინდის პანთეონში ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის (ფიროსმანის) სიმბოლური საფლავის არქიტექტურულ-მხატვრული კეთილმოწყობის პროექტის შესარჩევი ღია შემოქმედებითი კონკურსი" (მერიის დადგენილება, 12 აპრილი, 2010 წ. №09.12.486). კონკურსი გამოცხადდა 2010 წლის 12 აპრილს, საკონკურსო მასალების ჩაბარების ვადად განისაზღვრა 17-21 მაისი. კონკურსის შედეგები უნდა გამოცხადებულიყო 15 სამუშაო დღეში.

ბატონო დავით, კონკურსის პირობებით თქვენ იმჟამინდელი თბილისის მერის მოადგილე, ამჟამად პირველი მოადგილე, დაინიშნეთ საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ, ხოლო თქვენ, ბატონო მამუკა, იმჟამინდელი მერის პირველ მოადგილეს, ამჟამად თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს, დაგევალათ კონტროლი დადგენილების შესრულებაზე. თქვენ არ შეასრულეთ დადგენილებით დავალებული საქმე; გავიდა 9 თვე, არავითარი პასუხი, არავითარი შედეგების გამოცხადება, ელემენტარული განმარტებაც კი არ მიგიციათ ავტორებისთვის, ამ საკითხით დაინტერესებული საზოგადოებისთვის.

მიმდინარე წლის 3 მარტის „24 საათში" დაიბეჭდა ბ-ნ ვახტანგ დავითაიას სტატია – „კონკურსი, რომელმაც პრობლემა ვერ გადაწყვიტა", სადაც რიგ საჭირბოროტო საკითხთა შორის, დეტალურად იყო განხილული ფიროსმანის სიმბოლური საფლავის საკითხიც. გვეგონა, ეს უსიამოვნო სიმართლე გამოიწვევდა თქვენში რაღაც პასუხისმგებლობის გრძნობას, მაგრამ შევცდით, გავიდა ერთი თვე, კონკურსი ჯერ კიდევ არ არის შეჯამებული.

როგორც ჩანს, თქვენ კონკურსის პირობები საერთოდ არ წაგიკითხავთ, თორემ რაღაც ვალდებულებას მაინც იგრძნობდით. თუნდაც იმას, რომ არ გაქვთ უფლება საკონკურსო ვადების დარღვევის და არც კონკურსის შეუჯამებლობის.

თქვენ დაარღვიეთ არა მხოლოდ „საავტორო უფლება", არამედ უფრო მეტი, „ადამიანის უფლებები". სამართლებრივ ქვეყანაში ამას არავინ გაპატიებდათ.

თენგიზ გოგოლაშვილი, მედეა მელქაძე,
არქიტექტორები. 4 მაისი, 2011 წ.

## ეთნოგრაფია

# სულუგუნი

**ამ ბოლო ხანებში სატელევიზიო არხებზე გამოჩნდა ქართული ყველის ერთ-ერთ სახეობის – მეგრული სულუგუნის (სელეგინის) რეკლამა. რეკლამის ავტორებმა მაყურებელს შესთავაზეს ე.წ. შებოლილი სულუგუნის ლამაზად შეფუთული ჩხირები და, თითქმის, დაწვრილებით გააცნეს მაყურებელს ამ ძვირფასი პროდუქტის დამზადების ტექნოლოგიური პროცესები!**

ვერ ვიტყვი არ გამიხარდა-მეთქი! გამიხარდა და მესიამოვნა, რომ არიან საქმიანი ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ ქართულ საგანძურზე და თავიანთ ბიზნესსაც ამ პრინციპით „აგებენ"! მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ სულუგუნისებურად გამოყვანილი ყველი ყოველთვის არ არის სულუგუნი და ამიტომ, თუ ნებას მომცემთ, ორიოდე სიტყვით მინდა ხაზი გავუსვა სათქმელს! – სულუგუნი მარტო საკვები პროდუქტი როდია, იგი ქართული ეთნოგრაფიული კულტურის ძეგლია და მას უაღრესი გაფრთხილება უნდა!



რამეთუ ეს ასეა, იმ სატელევიზიო რეკლამის ავტორებსა და მათ, ვისაც ამ ბიზნესისთვის მოუკიდია ხელი, მინდა შევახსენო ის, რაც ათეული წლების მანძილზე შემისწავლია და გამოცდილი ოსტატებისგან შემისისხლხორცებია. თუმცა, აქვე უნდა მოგახსენოთ, სულუგუნის კეთების ზოგიერთი დეტალი, ნება მომეცით, ჩემთვის დავიტოვო, რადგან იმ ოსტატებს ჩემთვის ჯერ არ მოუციათ ნებართვა ბოლომდე გამოვამზეურო ეს საიდუმლოება.

ძირითადზე კი მოგახსენებთ.

წალენჯიხის რაიონის მთიან ზონაში არის უაღრესად კოლორიტული, მეგრული სოფელი ჩქვალერი! ჩქვალერის სილამაზეზე, მის ეთნოგრაფიულ კოლორიტზე, შესანიშნავ ბუნებაზე ადრეც არაერთხელ დამიწერია და ახლა სჯობს პირდაპირ დღევანდელ სათქმელზე ვისაუბროთ:

ჩქვალერი მთიანი სამეგრელოს სხვა სოფლებთან ერთად, სამართლიანად ითვლება ცნობილი მეგრული სულუგუნის სამშობლოდ, რომელსაც ერთ დროს ოქროს ფასად იძენდნენ ამ მხარეში შემთხვევით თუ სპეციალურად ჩამოსული ვაჭრები სულუგუნისა, არაერთხელ რომ შეუქია მეისტორიეს.

სასულუგუნე რძეს, აუცილებლად, ხის ნიგაში ჩამოწველიან. ნიგა ხის ვედროა, საგანგებოდ ამ საქმისთვის გამოთლილი.

ნიგადან რძეს ბუყუნში ასხამენ. ბუყუნი მთლიანი ხისგან გამოთლილი დიდი კასრია და ათი, ზოგჯერ ოცი ნიგა რძე ჩადის.

რძე ბუყუნში ხისავე საწურით იწურება და ურევენ კვეთს.

კვეთს შემდეგნაირად ამზადებენ: დამარილებულსა და გამხმარ პირუტყვის კუჭს (ანუ მაჭიკს) ხის ჭურჭელში ჩადებენ, დაასხამენ წყალს და რამდენიმე ხნის შემდეგ ის უკვე კვეთია.

20-30 წუთის შემდეგ ბუყუნში რძე შედედდება და ხელების ნელი მოძრაობით მას ერთ მთლიან გუნდად შეკრავენ.

ასე გაჩნდა ჭყინტი ყველი. ჭყინტ ყველს ხისავე ჯამზე, ან პირდაპირ ტაბაკზე დებენ და 2-3 საათს ტოვებენ ასე.

ამ ხნის შემდეგ, თუ ტემპერატურა ნორმალურია, ყველი აფუვდება, რაც იმის მაუწყებელია, რომ მისგან შეიძლება სულუგუნის დამზადება.

აფუებულ, მწიფე ჭყინტს ზოლებად ჭრიან და ადუღებულ წყალში ყრიან, შემდეგ ხის კოვზით, ან ხელით დიდხანს ზელენ და მრგვალ ფორმას აძლევენ. კარგად დაზელილ სულუგუნს სუფთა გული და სასიამოვნო გემო აქვს. ჯერ ისევ ნორჩ სულუგუნს მარილს მოაყრიან და ხის ფორმაში დებენ. ორი-სამი დღის შემდეგ კი ფორმიდან იღებენ და შუაცეცხლოვან სამზადში ჰკიდებენ, ან სპეციალურ ოკვალეზე – ლასტის თაროზე დებენ გასაშრობად. 15-20 დღის შემდეგ სულუგუნი კვამლისაგან ბრინჯაოს ფერსა და საამო გემოს იძენს.

ამჟამად სულუგუნს საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ამზადებენ, მაგრამ ყველგან როდი იცავენ მისი დამზადების წესებს.

რძეს ალუმინის ვედროებში ასხამენ, ბუყუნის ნაცვლად ლითონის ქვაბებს იყენებენ, სულუგუნს რკინის ფორმაში დებენ.

ამის გარდა, ზოგან სულუგუნის დამზადება ცხიმმოხდილი რძისაგანაც დაიწყეს.

ვისაც სურს საუკეთესო სულგუნის მიღება, უნდა იცოდეს, რომ ჩქვალერში მისი დამზადებისას მხოლოდ ხის ჭურჭელს იყენებენ.

სულუგუნი განა მარტო საკვებია? – იგი ხალხური შემოქმედების ნიმუშიც გახლავთ. შემთხვევითი არ არის, რომ მისგან ხშირად სხვადასხვა სამკაულებსაც კი ამზადებენ.

ამასთან, შეიძლება ვინმეს ეუცხოოს, რასაც ახლა ვიტყვი:

– მეგრული (კვარაცხელიასეული) ჯილაგის ძროხის რძისგან ამოყვანილი სულუგუნია საუკეთესო, რადგან ამ ჯილაგის ძროხას გამორჩეული მაწიერობა აქვს, რასაც ხელს უწყობს მთიანი სამეგრელოს საძოვრების უნიკალური ბალახეული შემადგენლობა!...

ასე, რომ არ მოტყუვდეთ, ყველა „სულუგუნი" როდია სულუგუნი! მას მხოლოდ სამეგრელოს მთიან სოფლებში ამზადებენ!

**ზაურ ფიფია**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

◎ დაჰყავი და იბატონე

# საიდან, „მიხიჩ“, „მანია გრანდიოზა“?!



სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტი“ ქართული ფეხბურთის ბედისწერად იქცა.

შეგახსენებთ, რომ მისმა საპრესკონფერენციო დარბაზმა 2007 წლის 13 მაისს სფფ-ს იმ სამარცხვინო ყრილობას უმასპინძლა, თაობებს რომ დააჩნდება ჩამოურეცხავ ლაქად, ხოლო ოთხი წლის შემდეგ იქვე გამართულმა შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ არავითარი ერთიანი ქართული საფეხბურთო ოჯახი ბუნებაში არ არსებობს და იგი, ქველებურად, ბანაკებადაა დაყოფილი.

ამჯერად შეკრებილთ ჩაწყობილ თამაშებსა და ამ მტკივნეულ საკითხზე უეფადან მილებულ წერილში ჩამოთვლილ ახალ გამოსაძიებელ მატჩებზე უნდა ემსჯელათ, მაგრამ ვინ აცალათ — მიკროფონთან მისულმა რევაზ ძოძუაშვილმა, უკვე მერამდენედ, ვეტერანთა რუპორობა იტვირთა და ფედერაციის პრეზიდენტთან ცხარე კამათში თავს დაუკრეფავში გადასვლის უფლებაც მისცა.

ზვიად სიჭინავა რომ ქართული ფეხბურთის სათავეში შემთხვევით მოხვედრილი პიროვნებაა, ამას იგი არც თვითონ უარყოფს, მაგრამ საინტერესოა, „მიხიჩას“ ვინ მისცა საზოგადოებისა და კოლეგებისათვის მორალის კითხვის უფლება. თუ მას დაავიწყდა ან ცდილობს გვაჩვენოს, რომ დაავიწყდა, ჩვენ შევახსენებთ, რომ სწორედ მის სახელს უკავშირდება არაერთი საეჭვო შედეგისა და ტრანსფერის „გაჩარხვა“. ალბათ, გულშემატკივარს ისიც ეცოდინება, რომ მსაჯობისას ბატონ რეზოს არაერთი მუშტი უგემია, რისი მიზეზიც, დაგვეთანხმებით, არაობიექტური სტვენაც იქნებოდა. ასე რომ, აწი მაინც დასჯერდეს ქართული საფეხბურთო არმიის რიგითი ჯარისკაცის როლს, თორემ ადვილი შესაძლებელია, ისეთი დელიკატური პასუხი, როგორიც თემურ ქეცბაიასგან მიიღო, მომავალში სანატრელი გაუხდეს. ეს ისე, ცნობისათვის, თორემ ჩვენ კარგად ვიცით, რომ ვეტერანი ფეხბურთელები კოლეგათა ჩაწიხვლას მომავალშიც დუმილით შეხვდებიან.

**გია პლატონიშვილი**

◎ ლვაწლი

# ამაგი დაუფასეს



**საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვლადიმერ ახალკაცმა ერთ-ერთ შეხვედრაზე თქვა, რომ მთელი ცხოვრება ქართულ კრივს ვემსახურებიო. მართლაც, ჭაბუკობისას თავად გამოდიოდა რინგზე, მერე, აქტიურ სპორტს რომ ჩამოშორდა, ფედერაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახდა — 1993-დან 2006 წლამდე ვიცე-პრეზიდენტი იყო, ხუთი წელიწადია, გენერალურ მდივნად მუშაობს.** ამ ხნის განმავლობაში კრივის სამყაროში დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. დასტურად ისიც გამოდგება, რომ შარშან იგი ევროპის კრივის კონფედერაციის აღმასკომისა და ამავე ორგანიზაციის მსაჯთა კომიტეტის წევრად აირჩიეს. ამას წინათ კი წარმატებით ჩააბარა გამოცდები და კრივის საერთაშორისო ფედერაციის (AIBAძ ტექნიკური დელეგატი გახდა. ეს არც ისე იოლი იყო, რადგან მსოფლიოში ამ წოდებას მხოლოდ რამდენიმე მაღალკვალიფიციური სპეციალისტი ატარებს. სასიამოვნოა, რომ მათ შორის ერთ-ერთი ჩვენებურიცაა, რომელსაც ამ დღეებში 60 წელი შეუსრულდა, ვლადიმერ ახალკაცს ახალ ამპლუაში დებიუტი 8-15 მაისს ბაქოს საერთაშორისო ტურნირზე ექნება, ამ შეჯიბრებაში ქართველი სპორტსმენებიც გამოვლენ.

იუბილესთან დაკავშირებით სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში ვლადიმერ ახალკაცს შეხვედრა მოუწყვეს. კრივის ფედერაციის გენერალურ მდივანს დაბადების 60 წელი მინისტრმა ლადო ვარძელაშვილმა და მინისტრის მოადგილე გია გალდავამ მიულოცეს და კრივის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის სამინისტროს საპატიო სიგელი გადასცეს, ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა კი სეოკ-ის ორდენით დააჯილდოვა.

„ჩემთვის მოულოდნელი და სასიამოვნოც იყო იუბილესთან დაკავშირებული ჯილდოები, — გვითხრა ახალკაცმა — დიდი მადლობა სპორტის სამინისტროს და სეოკ-ის ხელმძღვანელობას დაფასებისთვის. ეს ჩვენი ორგანიზაციის აღიარებაცაა. ქართულ კრივს სახელმწიფოსგან ამგვარი თანადგომა არასდროს ჰქონია. ეს ორმაგად გვავალდებულებს, 2012 წლის ოლიმპიური თამაშების რაც შეიძლება მეტი საგზური მოვიპოვოთ და ლონდონშიც წარმატებით ვიასპარეზოთ“.

**ვაჟა დანელია**

◎ კალათბურთი

# საჯარიმოთ რა ჰქმნა

**სუპერლიგის მეოთხედფინალის წინ გამოთქმული პროგნოზი გამართლდა — ყველაზე საინტერესოდ მოვლენები შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდისა და „სოხუმის“ წყვილის პირველ მატჩში განვითარდა. შეგახსენებთ, რომ მათ რეგულარულ სეზონში მეოთხე და მეხუთე ადგილები დაიკავეს, სატურნირო ცხრილში მეზობლობა კი, თურმე, სავსებით ლოგიკური ყოფილა.**

პლეი-ოფის წინ ზღვისპირელებმა სოლიდური შევსება მიიღეს ესპანეთში გამოზრძმედილი ფაცაციას სახით, რომელიც ახალ კლუბს მშვენივრად შეეწყო და მრისხანე მეტოქესთან ბრძოლაში ერთ-ერთი საუკეთესოც იყო პარტნიორთა შორის, მაგრამ...

აინარს ბაგატსკისის შეგირდებმა 17(!ძ საჯარიმო გააცუდეს, ხელმოცარულთა შორის კი დებიუტანტთან ერთად სოხუმელთა კაპიტანი და ლიდერი ფარლალავა „გამოირჩეოდა“. აი, მათი დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი.





სხვათა შორის, საფინალო სასტვენამდე 2 წუთით ადრე ძალოვანები 5 ქულით აგებდნენ მატჩს — 65:70, მაგრამ ნიკოლაძის ორი სამქულიანით მდგომარეობა გამოასწორეს — 77:72.

**დანარჩენი შედეგები:** „არმია“ — „ენერჯი ინვესტი“ 94:63, თსუ — სტუ 97:81, „ქუთაისი“ — „სამედიცინო“ 95:88.

დღეს თბილისის სპორტის სასახლეში 12 საათიდან სერიის მეორე შეხვედრები დაიწყება.

* * *

**დღესვე „ატლანტა ჰოუქსი“ ჩიკაგოში ნბა-ს აღმოსავლეთი კონფერენციის მეორე ნახევარფინალურ მატჩს გამართავს „ბულზთან“, რომელსაც პირველი შეხვედრა იქვე ბევრისათვის სენსაციურად მოუგო — 103:95. ზაზა ფაჩულიამ სტუმრებს 8 წუთში 6 ქულა და 5 მოხსნა შეაწია.** გამარჯვებულთაგან აღსანიშნავია ჯონსონის — 34 ქულა, კროუფორდისა — 22 ქულა და ჰორფორდის — 12 მოხსნამონაგარი. ილინოისელთა ლიდერი როუზი, რომელმაც ბოლო წამზე ტრავმა მიიღო, ნბა-ს რეგულარული სეზონის ყველაზე სასარგებლო მოთამაშედ მიიჩნიეს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ სამბო

# ნაკრების შემადგენლობა დაზუსტდა



**ბულგარეთის დედაქალაქი სოფია 12-16 მაისს სამბისტთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. შეჯიბრებაში საქართველოს ვაჟთა ნაკრები სრული შემადგენლობით იჭიდავებს.** კონტინენტის პირველობაზე ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავენ დიმიტრი მუმლაძე (52 კგძ, უშანგი კუზანაშვილი (57ძ, დავით სვიმონიშვილი (62ძ, ბექა იმერლიშვილი (68ძ, კახა მამულაშვილი (74ძ, ნიკოლოზ კუცია (82ძ, მინდია ბოდაველი (90ძ, მირიან პავლიაშვილი (100ძ და ვახტანგ ზოიძე (მძიმე წონაძ. **ქალებში მხოლოდ ორი მონაწილე გვყოლება:** ახალგაზრდებში შარშანდელი ევროპის ჩემპიონი შორენა შარაძე და მსოფლიოს პირველობის გამარჯვებული ნინო ოძელაშვილი.

**ლექსო ცინცაძე**

◎ ფეხბურთი

# წინ „უემბლია“

**სხვა სხვის ომში ბრძენიაო, ხომ გაგიგონიათ. ძალაუნებურად, ეს ხალხური სიბრძნე გამახსენდა, როცა „ბარსელონა“ — „რეალის“ საპასუხო ნახევარფინალი დაიწყო.**

ღმერთმა დაგვიფაროს, ისეთ პროფესიონალს, როგორიც ჟოზე მაურინიუა, ჭკუის სწავლება დავუწყოთ. აქ, უბრალოდ, იმ ტაქტიკურ სქემას გვინდა მივაქციოთ ყურადღება, სტუმართა სამწვრთნელო შტაბმა იძულებით რომ აირჩია სარევანშოდ.

მოგეხსენებათ, პირველ რაუნდში „სამეფო კლუბის“ ფრთხილმა სისტემამ კრახი განიცადა — 0:2. კუთხეში მიმწყვდეული სტუმრები „ნოუ კამპზე“ იმდენად გათამამდნენ, რომ კაკაც ჩართეს ბრძოლაში და იგუაინიც, თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, ამით საერთო სურათი ოდნავადაც არ შეცვლილა — ამ ეტაპზე ობიექტურად უფრო ძლიერმა კატალონიელებმა უპრობლემოდ მიიყვანეს საქმე სასურველ შედეგამდე — 1:1 (პედრო; მარსელოძ.

საკუთარ შეგირდთა მძიმე ხვედრს დისკვალიფიცირებული პორტუგალიელი ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს.

ასე რომ, 28 მაისს „უემბლიზე“ ხოსეპ გვარდიოლას გუნდი მეოთხედ შეეცდება ოლიმპზე ასვლას.

**გიორგი შოთაძე**



**დღეს ევროპის ლიგის მატჩებია**

**ფეხბურთის მოყვარულებს ვაცნობებთ, რომ დღეს გაიმართება ევროპის ლიგის საპასუხო ნახევარფინალური მატჩები — „ბრაგა“ — „ბენფიკა“ და „ვილიარეალი“ — „პორტუა“, რომლებსაც შესაბამისად უმსაჯებენ ინგლისელი მარტინ ატკინსონი და იტალიელი ჯანლუკა როკი.**

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 74 წლის ასაკში გულის შეტევით გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელი, 1964 წლის ტაშკენტის „ბარაქიანი შემოდგომის“ ერთ-ერთი გმირი, საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილი წევრი, ლეგენდარული მეკარე**

**სერგო პარმენის ძე**
**კოტრიკაძე**

**და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.**



**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

## მკითხველი კურნავს მკითხველს

### წიწაკის მალამო

**რადიკულიტის, ოსტეოქონდროზისა და სახსრების ტკივილის დროს დაგეხმარებათ წიწაკის მალამო.** მას ასე ამზადებენ: ერთ ჭიქა ზეითუნის ზეთს უმატებენ 1 სუფრის კოვზ შავი წიწაკის ფხვნილს, ნელ ცეცხლზე ადუღებენ 5-10 წუთით, აცივებენ, წურავენ და იყენებენ დასაზელად.

**გიორგი ჭელიძე, ლანჩხუთი**

### შავი წერტილები ქრება

**კანის გაწმენდა შავი წერტილებისგან შეიძლება შვრიის ფანტელების დახმარებით:** 1 ჭიქა ფანტელს ვატარებთ ხორცსაკეპში, ვასხამთ 1 ჩაის კოვზ სასმელ წყალს. 1 სუფრის კოვზი მიღებული ნარევი განაზავეთ თბილ წყალში ფაფად გახდომამდე. ამის შემდეგ საპნით კარგად დაიბანეთ ხელი, ნაზავი თითის წვერებით წაისვით სახეზე და დაიწყეთ მასაჟი წრიული მოძრაობით. შვრიის ფანტელი მოიცილეთ თბილ წყალში დასველებული ბამბის ტამპონით. პროცედურა გაიკეთეთ კვირაში ერთხელ.

**ეთერ მაისაშვილი, თეთრიწყარო**

### სადაც სოკოები იზრდება

**დავდივარ აუზში და ყოველთვის მეშინია, რომ იქ სოკო არ „ავიკიდო“. ამიტომ ვცდილობ გამოვიყენო პროფილაქტიკური საშუალებანი. ჩემს არსენალში არის საუცხოო ხალხური რეცეპტები. აი ისინი:**

● 200 გრამ აბზინდის ბალახს დაასხით 1 ლიტრი მდუღარე წყალი, ადუღეთ 15 წუთით, გადმოიღეთ და გააჩერეთ ნახევარი საათის განმავლობაში, შემდეგ ჩაასხით ტაშტში და ჩადგით ფეხები 15-20 წუთით.

● კარგია ფეხზე კალენდულის ნაყენის წასმა: კალენდულის 1 ჭიქა ყვავილს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, გააჩერეთ 30 წუთი, შემდეგ კი გაწურეთ.

**ქეთი, ქუთაისი**

### თავი აღარ მტკივა!

**ვფიქრობ, ყველა ადამიანს დრო და დრო აწუხებს თავის ტკივილი. მინდა გაგიზიაროთ საშუალება, რომელიც მეხმარება თავიდან ავიცილო ეს უსიამოვნება:**

● 1 სუფრის კოვზ კრაზანას დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, ადუღეთ 15 წუთი და გაწურეთ. მიიღეთ თითო სუფრის კოვზი დღეში სამჯერ.

● დააყენეთ შავი ან მწვანე ჩაი, დაუმატეთ ერთი მწიკვი პიტნა. დალიეთ ერთი ჭიქა ასეთი ჩაი და თავის ტკივილი გაგივლით.

**სოსო ბლიაძე, ხარაგაული**

### შორს, ნაოჭებო!

**ვაშლის მკვებავი ნიღაბი სასარგებლოა კანის ნებისმიერი ტიპისთვის.** ერთი წვნიანი, მწიფე ვაშლი გახეხეთ სახეხზე, რბილობის 1 სუფრის კოვზი ჩადეთ ადუღებულ ნაღებში ან რძეში, შემდეგ ამოიღეთ. ნიღაბს იდებენ სახეზე 20-30 წუთით და იბანენ თბილი წყლით. ნიღაბი კარგად ალბობს კანს, ხდის მას კრიალას და ელასტიურს.

**თამარ ჩივაძე, ოზურგეთი**

### შეშუპებისგან დაგიცავთ

**როგორ დავიცვათ თავი ფეხების შეშუპებისგან? ხშირად მომისმენია ეს შეკითხვა. მინდა ჩემი რეცეპტი შემოგთავაზოთ ამასთან დაკავშირებით, რაც ძალიან მეხმარება. ეს არის ოხრახუშის ნახარში.**

აიღეთ 2 სუფრის კოვზი ოხრახუშის თესლი, დაასხით ერთი ჭიქა მდუღარე წყალი და ადუღეთ 15 წუთი. გააციეთ, გაწურეთ. ნახარში დალიეთ თითო სუფრის კოვზი დღეში ოთხჯერ.

მჯერა, კმაყოფილი დარჩებით.

**ჟუჟუნა ჭეიშვილი, კასპი**

### ჭინჭარი – მსუსხავი წამალი

**მინდვრებსა და გზისპირებზე უკვე გაჩნდა ახალგაზრდა ჭინჭრის მსუსხავი ფოთლები. მინდა ჩვენი გაზეთის მკითხველებს გავუზიარო ჩემი საფირმო საშუალებები, რომლებსაც ვამზადებ ამ მცენარის საფუძველზე.**

● გაჭიანურებული ხველების დროს დაგეხმარებათ ჭინჭრის ყვავილის ჩაი (ჭინჭრის ყვავილის ერთ მწიკვს ვხარშავთ 800 მილილიტრ წყალში).

● ჭინჭრის ფესვების ნახარში (100 გრამი ფესვი მოვხარშოთ 250 მილილიტრ წყალში) – ეს არის ხალხური საშუალება ფერიმჭამელების წინააღმდეგ. ნახარშით ვიზილავთ დაზიანებულ ადგილებს.

● ქერტლი რომ თავიდან ავიცილოთ და დავაჩქაროთ თმების ზრდა, დაბანვის შემდეგ თავზე გადავივლოთ ჭინჭრის ნაყენი. 6 სუფრის კოვზ ჭინჭრის დაქუცმაცებულ ფოთლებს დაასხით ერთი ლიტრი მდუღარე წყალი და გააჩერეთ 20 წუთის განმავლობაში.

**თინა გუგუშვილი, ზესტაფონი**

## მობილურები გააუვნებლეს?



**რეკლამას უკეთებენ მოწყობილობას, რომელიც, თითქოსდა, გვიცავენ მობილური ტელეფონის გამოსხივებისგან. როგორ მოქმედებენ ისინი?**

**გვიპასუხებს რუსეთის ერთ-ერთი წამყვანი რადიობიოლოგიისა და ჰიგიენის ლაბორატორიის გამგე ოლეგ გრიგორიევი:** – არანაირ მოწყობილობას არ შეუძლია დაიცვას ტვინი მობილური ტელეფონის გამოსხივებისგან. ჩვენ მოვახდინეთ მრავალი მოწყობილობის ტესტირება – დაახლოებით 2 ათეული სახეობა, – არც ერთი მათგანი მობილურ ტელეფონს უსაფრთხოს არ ხდის. მობილურის მავნებლობა რომ ოდნავ მაინც შევამციროთ, გამორთეთ ღამით ან დადეთ თქვენგან მინიმუმ 1,5 მეტრის დაშორებით, ისარგებლეთ მავთულის საყურეებით საუბრის დროს, შესაძლებლობის კვალობაზე ისარგებლეთ ქალაქის ტელეფონებით. როდესაც ნომერს აკრეფთ მობილურ ტელეფონზე, ყურმილს უმალვე ნუ მიიტანთ თავთან: ამ მომენტში გამოსხივება პიკს აღწევს.

## გრიგოლ ბოკუჩავას გახსენება

### მომავალი თაობები შეინახავენ მის ნათელ ხსოვნას



ორმოცი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც მამა წავიდა ამ წუთისოფლიდან. ეს ორმოცი დღე სულ მის მოგონებაში ვიყავით. მოსაგონებელი კი ბევრი რამ არის...

მშობლის დაკარგვა, რა ხანდაზმულიც უნდა იყოს, ძალზე მტკივნეულია შვილებისთვის, მეტადრე, როცა იცი, რა ღირსეული პიროვნება, მეუღლე და მამა ბრძანდებოდა! ის იყო ქართველი კაცი, მამაკაცური თვისებებით და ხასიათით, მაღალი ინტელექტით დაჯილდოვებული, განათლებული ადამიანი. პროფესიით ეკონომისტმა, გასაოცრად კარგად იცოდა საქართველოს ისტორია, ქართული პოეზია და პროზა. გამორჩეულად უყვარდა გალაკტიონი, მუხრან მაჭავარიანი, შოთა ნიშნიანიძე, კონსტანტინე გამსახურდია. ხმამაღლა კითხულობდა მათ ლექსებს, ნაწყვეტებს „დიდოსტატის მარჯვენიდან“ და ფირზეც კი ჰქონდა ჩაწერილი. ჩვენი მეგობრები ხშირად იხსენებენ, რომ მამამ გააცნო მათ გრიგოლ რობაქიძე გასული საუკუნის 70-იან წლებში, მაშინ როდესაც, ეს მწერალი ჯერ კიდევ აკრძალული იყო საქართველოში.

მამამ იცოდა მეგობრობა, ერთგულება და თანადგომა ჭირსა თუ ლხინში. იგი ყოველთვის მზად იყო დახმარების ხელი გაეწოდებინა ახლობლებისთვის, თანამშრომლებისა თუ ნაცნობებისთვის. ამასთან, საქმის ბოლომდე მიყვანამდე არ იცოდა შეპირება, „ვნახოთო“ – იტყოდა ხოლმე.

იგი იყო საოცრად დისციპლინებური, მოწესრიგებული, როგორც შინაგანად, ასევე გარეგნულად, შრომისმოყვარე, მომთხოვნი, პირველ რიგში საკუთარი თავის მიმართ, რითაც მაგალითს აძლევდა სხვებს, ზოგჯერ მკაცრიც, მაგრამ ყოველთვის სამართლიანი შვილების და შვილიშვილების მიმართაც კი. მისთვის უცხო იყო უზნეობა, შური, ბოროტება და ძნელბედობის ჟამსაც არასოდეს დაუკარგავს სულიერი წონასწორობა.

მიუხედავად მამის ერუდიციისა და განათლებისა, ჩვენთვის, შვილებისათვის ერთგვარი აღმოჩენა გახდა მისი ჩანაწერები, რომელსაც არასოდეს არავის აკითხებდა, სიცოცხლის ბოლო წლებში კი ძალზე უფრთხილდებოდა. ჩანაწერებში, საყვარელ ლექსებთან, აფორიზმებთან, ცნობილი ადამიანების გამონათქვამებთან ერთად, აღმოჩნდა მისი საკუთარი ლექსებიც, სავსე რომანტიზმითა და ფაქიზი გრძნობებით. ჩანაწერებში არის მისი მოსაზრებები როგორც ეკონომიკის, პოლიტიკის, ასევე თეატრის შესახებაც კი (მაგ. „ყვარყვარეს“ სტურუასეულ დადგმაზეძ და ყველაზე გასაოცარი – ამონარიდები ძველი და ახალი აღთქმიდან, როგორც მისი ცხოვრებისეული კრედო.

ნიშანდობლივია, რაც მწუხარების დღეებში, მამას ერთმა არაქართველმა მოყვარემ, ამერიკის შეერთებული შტატებიდან მისამძიმრებისას მასზე სთქვა: „ის იყო უნიკალური ადამიანი, მასთან ყოველი შეხვედრა კი – დღესასწაული“. ამ სიტყვებით ყველაფერი არის ნათქვამი.

ვისურვებდით, რომ მომავალმა თაობებმა შემოინახონ ღირსეული წინაპრის გრიგოლ ბოკუჩავას მარადიული ხსოვნა.

ღმერთმა სასუფეველში ამყოფოს მისი სული!

**მანანა, კაკი ბოკუჩავები**

## წერილი რედაქციას

### დაპირება, იცოცხლეთ, კარგი იციან!

**დუშეთში** რამდენი წელია წყლის პრობლემა ვერ მოგვარდა. ბუნებრივ გაზსაც ყველა ვერ ვეღირსეთ. შევიტყვეთ თბილისმა გუდაურის პრობლემების მოგვარება გადაწყვიტაო. ჩვენ გუდაურს მის ნამდვილ სახელს კაიშაურების ველს ვუწოდებთ. იცოცხლეთ ციგაობა და გუნდაობა კარგია, მაგრამ საინტერესოა, რა გულით ჩაუვლიან დუშეთს ის ვაჟბატონები, ვინც წყალი და გაზი არაერთხელ შეგვპირდა რიხიანად და პრობლემა დღემდე ვერ მოაგვარა. არც იმას მოიკითხავენ, ამდენი დაიხარჯა და სად წავიდა.

დუშელების სახელით
შოთა კარიაული, ვაჟა ხუდუზაური.


### სს „ქუთაისის ავტოსერვისი რაშის“ აქციონერთა საყურადღებოდ

**სს „ქუთაისის ავტოსერივისი რაშის“ დირექცია იწვევს აქციონერთა მორიგ საერთო კრებას, რომელიც გაიმართება 2011 წლის 27 მაისს 17 საათზე, ქ. ქუთაისში ნიკიას ქუჩა № 11.**

**დღის წესრიგი:**

1. 2010 წლის სამეურნეო საქმიანობის შესახებ. საწარმოს დირექტორის ანგარიშის განხილვა-დამტკიცება;
2. სხვადასხვა.

კრებაზე მოწვეულია ყველა აქციონერი. აქციონერთა რეგისტრაცია დაიწყება კრებამდე 2 საათით ადრე.

**სს „რაშის“ დირექცია**

## განცხადება

### სს „დეზებიანი მამლების“ აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შესახებ

**სს „დეზებიანი მამლების“ დირექცია და სამეთვალყურეო საბჭო იწვევენ საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებას, რომელიც ჩატარდება 2011 წლის 25 მაისს, 14 საათზე, საჩხერეში, სოფელ სავანეში, სს „დეზებიანი მამლების“ ადმინისტრაციულ შენობაში.**

**სააქციო საზოგადოების მიერ სააღრიცხვო დღედ დადგენილია 2011 წლის 16 მაისი.**

**დღის წესრიგი:**

1. საზოგადოების 2010 წლის წლიური შედეგების განხილვა;
2. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნები;
3. საზოგადოების წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საზოგადოების წესდებაში განსაზღვრულია შემდეგი ცვლილების შეტანა:

**წესდების 6.8 მუხლი ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:**

„6.8. საერთო კრების მუშაობას ხელმძღვანელობს სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის არყოფნისას მისი მოადგილე, ამ უკანასკნელის არყოფნისას გენერალური დირექტორი. კრების მიმდინარეობისა და გადაწყვეტილებების შესახებ ოქმს ხელს აწერს საერთო კრების თავმჯდომარე“.

აქციონერებს დამატებითი წინადადებებისა და განმარტებებისათვის შეუძლიათ მიმართონ წერილობით საზოგადოების გენერალურ დირექტორს კრების ჩატარებამდე 10 დღით ადრე.

აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება და თქვენს განკარგულებაში არსებული ხმების რაოდენობა სააღრიცხვო დღის მდგომარეობით შეგიძლიათ შეამოწმოთ საზოგადოების დირექციაში.

**სს „დეზებიანი მამლების“ გენერალური დირექტორი
ნოდარ ჭიღლაძე**


ფრიდონ ინჯია ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოხატავს ბატონ მამუკა დანელიას ქალიშვილის, ყველასათვის უსაყვარლესი

**ნინო დანელიას**

გარდაცვალების გამო და წრფელად თანაუგრძნობს ბატონ მამუკას ოჯახს, მათ სანათესაოსა და პატარა ნინოს ყველა მეგობარსა და ახლობელს.

დღეს თქვენთან ერთად მთელი მარტვილი წუხს და განიცდის ამ უდიდეს სევდასა და ტკივილს.

---

მარტვილის საფეხბურთო კლუბი „მერანი“ მწუხარებას გამოთქვამს ქ. მარტვილის გამგებლის, ბატონი მამუკა დანელიას ქალიშვილის

**ნინო დანელიას**

გარდაცვალების გამო.

უფალმა მოხედოს და შეეწიოს მის ახალგაზრდა, ლამაზ სულს და ცათა სასუფეველში დაუმკვიდროს მას მარადიული განსასვენებელი.

---

ი. ფაღავას სახელობის პედიატრიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი იუწყება, რომ გარდაიცვალა გულიკო მახათაძის შვილი

**გია მახათაძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.


**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
*„საქართველოს რესპუბლიკაში“*
**99-62-77; 899 32-85-76.**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

## დაიჯესტი

### ღირსეულ მამულიშვილთა პატივსაცემად



**შვეციის ბანკის გენერალურმა საბჭომ მე-20 საუკუნის გამოჩენილი შვედების ხსოვნის უკვდავყოფა ფულის ბანკნოტებზე გადაწყვიტა.** ეროვნული კრონების ახალ ბანკნოტებზე გამოსახული იქნებიან რეჟისორი ინგმარ ბერგმანი, მწერალი ასტრიდ ლინდგრენი, მსახიობი გრეტა გარბო, სხვები. პორტრეტის გარდა თითოეულ კუპიურაზე ქვეყნის ის მხარე იქნება გამოსახული, რომელთანაც გამოსახული პერსონაჟია დაკავშირებული.

### რას მოიტანს ახალი კანონი?



**საფრანგეთის პოლიციელთა პროფკავშირს „ძალიან რთულად" შესასრულებლად მიაჩნია ახლახან ძალაში შესული კანონის მოთხოვნის შესრულება, რომლის თანახმად პირბადის ტარება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში აიკრძალა. ჯარიმა კანონდარღვევისთვის 150 ევროა.** პროფკავშირის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პოლიციელებს მუსლიმი ქალების დაყოლიება მოუწევთ, რათა მათ ფარანჯა მოიხადონ. მაგრამ, თუკი ისინი არ დაყვებიან, „მდგომარეობა ძალიან გართულდება", – აღნიშნა პოლიციის ერთ-ერთმა თავკაცმა.

### „ინტელექტუალური" ქსელების მეხუთე თაობის წინამორბედი



**ცოტა ხნის წინათ ავსტრალიელმა მეცნიერებმა კავშირგაბმულობის ახალი სისტემა შეიმუშავეს: მობილური მოწყობილობებისთვის დამზადებული მათი სისტემა საშუალებას იძლევა ზარები განახორციელონ და ინტერნეტში შევიდნენ ისეთ ადგილებში, სადაც ფიჭური ანძების სიგნალი არ გადის.** ამასთან, კავშირი ხორციელდება ჩვეულებრივი ნომრებით. „ესაა „თითოეული ყველასთან" პრინციპზე დაფუძნებული უსადენო კავშირის სისტემა, ყველა აპარატი ქსელს ქმნის, რომელთაგან თითოეულს ტელეფონის ფუნქციის გარდა საბაზო სადგურის ფუნქციის შესრულებაც შეუძლია. მას სიგნალის გატარების, პირდაპირი კავშირის დამყარებისა და მრავალი სხვა ფუნქციის შესრულება შეუძლია. აპარატები ერთმანეთს „პირდაპირ ხედავენ", ყოველგვარი ფიჭური ანძების გარეშე, რაც კავშირს აიაფებს და მის ხარისხს აუმჯობესებს. ეს კი „ინტელექტუალურ" ქსელთა მეხუთე თაობის წინამორბედია.

### ხორცი აუცილებლად უნდა ჭამოთ!



**მეცნიერებმა დაადასტურეს, რომ ვეგეტარიანელობა ჯანმრთელობისთვის მავნეა. ხორცსა და ხორცპროდუქტებზე უარის თქმა ტრომბებისა და ათეროსკლეროზის წარმოშობის რისკს ზრდის, მაშასადამე გულის პრობლემების წარმოშობა შეუძლია.** ამას ამტკიცებენ ამერიკაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის ავტორები. „ვეგეტარიანულ დიეტას არ შეუძლია ორგანიზმის უზრუნველყოფა ცხიმებითა და ცხიმების მჟავებით, რომლებიც ენერგიის წყაროსა და უჯრედების საშენ მასალას წარმოადგენენ", – ნათქვამია, კერძოდ, ნაშრომის შესავალში. „კარგი" ქოლესტერინის დეფიციტს გულის დაავადებათა პროვოცირება შეუძლია. ამიტომ, ცხოველური წარმოშობის პროდუქტები კვირაში 1-2-ჯერ აუცილებლად უნდა შედიოდეს".

### ვიდრე ერთმანეთს გაეყრებოდეთ, დაფიქრდით!



**ჩინეთში მმაჩის ბიუროთა თანამშრომლები ამიერიდან ეცდებიან განსაქორწინებლად გამზადებულ ცოლ-ქმარს გაყრაზე უარი ათქმევინონ.** ოფიციალური მონაცემებით, შარშან ჩინეთში დაახლოებით ორი მილიონი წყვილი განქორწინდა. 2009 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი თითქმის 14,5 პროცენტითაა გაზრდილი, რაც ბოლო წლებში რეკორდულია. დღესდღეობით საგანგებო მომზადებას 10 ათასი ფსიქოლოგი-კონსულტანტი გადის.

### არაყი „ტრაურშია"

**რუსეთში ლოთობასთან ბრძოლის კამპანიის ფარგლებში არყის მწარმოებლებს შესაძლოა ბოთლებზე თეთრ ფონზე შავი „სამგლოვიარო" ჩარჩოთი შემოვლებული წარწერის განთავსება დაავალონ: „ალკოჰოლი მავნეა თქვენი ჯანმრთელობისთვის".**



ეს ალკოჰოლიან პროდუქციაზე ახალი ტექნიკური რეგლამენტითაა გათვალისწინებული, რომელსაც მალე სახელმწიფო სათათბიროში განიხილავენ. ამასთან, ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ეს ზომა ქმედითი მხოლოდ კომპლექსში იქნება. სხვა გასატარებელ ღონისძიებათა ნუსხაშია ალკოჰოლის გაყიდვის წერტების შეზღუდვა, მცირეწლოვანთათვის ალკოჰოლის მიყიდვის გამო სასჯელის გამკაცრება და სხვ.

## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● თემურ ლენგი წარმოშობით გათურქებული მონღოლი იყო. ჯერ დუმნის (ოლქის) უფროსობა ებარა, შემდეგ აჯანყდა, დამარცხდა და ყაჩაღად გავარდა. ის ერთ-ერთი შეტაკების დროს დაიჭრა და ხეიბარი დარჩა. მან საქართველოში 8-ჯერ ილაშქრა. მისი მიზანი იყო ჩინგიზ-ყაენის იმპერიის აღდგენა. საქართველოში მისი სახელი განადგურებისა და გაჩანაგების სინონიმად იქცა.

● რომაელთა სამ არმიას შორის მომწყვდეულმა მხედართმთავარმა სპარტაკმა უკანასკნელი ბრძოლის წინ საკუთარ ცხენს თავისი მეომრების თვალწინ ხმლით მოუღო ბოლო. „თუ დავმარცხდებით, მე იგი აღარ დამჭირდება, თუ გავიმარჯვებთ, მტრის საჯინიბოში საუკეთესო ცხენებს ამოვარჩევ", – თქვა მან.

● ახალი ზელანდიის დედაქალაქს ველინგტონი ნაპოლეონთან მებრძოლი ინგლისელი გენერლის პატივსაცემად დაერქვა.

● ლუდოვიკო XI-მ კარის ასტროლოგის სიკვდილით დასჯა გადაწყვიტა, რადგან მისი წინასწარმეტყველება ახდა და მეფის ფავორიტი ქალი მოწამლეს. მან ასტროლოგი და ჯალათი ერთდროულად გამოიძახა, უკანასკნელ წუთს კი ასტროლოგს ირონიულად ჰკითხა, ყველას ბედს რომ წინასწარმეტყველებ, თვითონ რამდენი ხნის სიცოცხლე დაგრჩაო, ასტროლოგმა უპასუხა, მე თქვენზე სამი დღით ადრე მოვკვდებიო, რამაც ის სიკვდილს გადაარჩინა.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

ორგანიზაცია ბეჭდავს ჟურნალ-გაზეთებს მაღალი ხარისხითა და ზომიერი ფასებით.
868 838 858

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6575 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4470 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7299 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.0637 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.4715 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.0947 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.0809 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.0833 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5513 ლარი |



### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +14 – +22 |
| ქუთაისი. | +16 – +23 |
| ბათუმი. | +14 – +20 |
| ზუგდიდი. | +16 – +23 |
| თელავი. | +14 – +22 |

## კადრი



## ანეკდოტები

ტიპი საყვარლის საწოლიდან წამოდგება და იცვამს. უცებ ხედავს, რომ ყელზე ვნებიანი კოცნა-წუწვნის ნაკვალევი ატყვია. რა ქნას? ვერაფერი ვერ მოიფიქრა და, რახან ისედაც დააგვიანდა სახლში მისვლა, შინისკენ გასწია. კარი გამოაღო თუ არა, პატრონს მონატრებული ძაღლი ეცა. და უცებ ტიპს გონება გაუნათდა, თავადაც დაუწყო ძაღლს ჭიდილი, პერანგი ლამის შემოიხია და ისე შევიდა ოთახში.

– საყვარელო, ეს ჩვენი ძაღლი მთლად გაცოფდა, – ეუბნება იგი ცოლს, – ნახე, ყელზე როგორ მიკბინა!



– ნუ იტყვი, – უპასუხებს ცოლი, – ნახე, მეც რა მიქნა, მთელი მკერდი დამიკბინა.

* * *

– მამათქვენს რომ ენახა, როგორ უზრდელად იქცევით, – ეუბნება ქვრივი კრუხი წიწილებს, – საცოდავი ნაღდად ტაფაზე გადატრიალდებოდა.

* * *

ნიუტონის მეოთხე კანონი: კედელს მიჭყლეტილი სხეული წინააღმდეგობას არ წევს.

* * *

ივან ივანიჩის დაკვირვებიდან: შავგვრემანი ქალები ქერათმიანებისგან იმით გამოირჩევიან, რომ ვერ გაიგებ, პირველებს რა აქვთ გონებაში, მეორეთ კი – თავში.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოძულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24